პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 39-ე წელი
№ 147 (11453)

შაბათი, 27 ივნისი, 1959 წ.

ფასი 20 კაპ.

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1959 წლის 26 ივნისს გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დილისა და საღამოს სხდომები. გრძელდებოდა პლენუმის დღის წესრიგში დასმული საკითხების განხილვა.

დილის სხდომაზე გამოვიდნენ ამხანაგები: პ. მ. მელნიკი (უკრაინის სსრ სახელმწიფო-საგეგმო კომისიის ავტომატიკის ინსტიტუტის დირექტორი), ა. გ. სოლდატოვი (პერმის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე), ვ. ა. კუჩერენკო (სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე), ა. ს. სობოლევი (გლუხოვოს ბამბეულის კომბინატის დირექტორი), ნ. ვ. ლაპტევი (საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ჩელიაბინსკის საოლქო კომიტეტის მდივანი), ა. ტ. შმარევი (თათრეთის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე), ი. ვ. სპირიდონოვი (საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინგრადის საოლქო კომიტეტის მდივანი), მ. ტ. ეფრემოვი (საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის კუიბიშევის საოლქო კომიტეტის მდივანი), გ. ი. ჩოგოვაძე (საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე), კ. მ. სიმაკოვი (აღმოსავლეთ ყაზახეთის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე).

საღამოს სხდომაზე გამოვიდნენ ამხანაგები: ი. დ. მუსტაფაევი (აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი), ვ. ნ. ნოვიკოვი (რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, რუსეთის სფსრ სახელმწიფო-საგეგმო კომისიის თავმჯდომარე), გ. გ. ორეშკინი (ქალაქ დნეპროძერჟინსკის ძერჟინსკის სახელობის მეტალურგიული ქარხნის დირექტორი), ვ. კ. კლიმენკო (უკრაინის კომპარტიის ლუგანსკის საოლქო კომიტეტის მდივანი), მ. ა. დრესვიანკინი (ურალის მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხნის მჭედელთა ბრიგადირი), ვ. ტ. ზაბალუევი (ნოვოსიბირსკის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე), ს. ა. მოვსესიანი (სომხეთის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე), ა. ა. კოლჩიკი (ლუტუგინის სახელობის შახტის საწმენდი სანგრევის მუშათა ბრიგადირი, სტალინოს ოლქი), გ. ი. გაილე (ლატვიის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე), მ. ს. სიდელნიკოვი (სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნის მთავარი ინჟინერი).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მუშაობას განაგრძობს.

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის XV ყრილოგას

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი გულთბილ მძურ სალამს უთვლის საფრანგეთის კომუნისტური პარტიის XV ყრილობას და მისი სახით ყველა ფრანგ კომუნისტს.

თქვენმა პარტიამ განასახიერა ყოველივე საუკეთესო, რაც ფრანგ ერს, საფრანგეთის რევოლუციური მოძრაობის ისტორიას აქვს, და მაღლა უჭირავს ეროვნული ინტერესებისა და თავისი სამშობლოს ბედნიერი მომავლისათვის ბრძოლის დროშა. საფრანგეთის კომუნისტური პარტია საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთ-ერთი დიდი და გამოწრთობილი რაზმია და კომუნისტური და მუშათა პარტიების დიდი პატივისცემით სარგებლობს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტები და მთელი საბჭოთა ხალხი დიდი ყურადღებით და მხურვალე სიმპათიით ადევნებენ თვალყურს ფრანგი კომუნისტების გმირულ მოღვაწეობას. მარქს-ლენინის მოძღვრებით აღჭურვილი, საფრანგეთის სოციალიზმის საუკეთესო ტრადიციების მიმდევარი კომუნისტური პარტია მტკიცედ იბრძვის ომის საფრთხის წინააღმდეგ, დემოკრატიულ და რესპუბლიკურ თავისუფლებათა შენარჩუნებისა და გაფართოებისათვის, თავისი ქვეყნის სოციალური პროგრესისათვის. საფრანგეთის მუშათა კლასს, მშრომელებს კომპარტია მიაჩნიათ თავიანთ სოციალურ და დემოკრატიულ მონაპოვართა საიმედო დამცველად, გამოცდილ და გამჭრიახ ხელმძღვანელად. მუშათა კლასის, ხალხის ფართო მასების ნდობა, მათთან განუყოფელი კავშირი საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ძალების დაუშრეტელი წყაროა.

საყოველთაო აღიარება ჰპოვა ფრანგი კომუნისტების თავდადებულმა ბრძოლამ მშვიდობისათვის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, ყველა ქვეყანასთან და ერთან მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით თანასწორუფლებიანი და კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებისათვის. საფრანგეთის კომუნისტური პარტია სამართლიანად აღნიშნავს, რომ გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების პოლიტიკა, რასაც ბონელი რევანშისტები ახორციელებენ საერთაშორისო იმპერიალიზმის მხარდაჭერით, მთავარ საფრთხეს წარმოადგენს ევროპის მშვიდობის საქმისათვის და შეიძლება მძიმე შედეგები მოუტანოს ევროპის ყველა ხალხს, მათ შორის საფრანგეთის ხალხსაც.

საბჭოთა ხალხი დიდად აფასებს საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ფრანგ ხალხსა და საბჭოთა ხალხს შორის ტრადიციული მეგობრობის განმტკიცება. საბჭოთა ხალხი უაღრესად გულთბილი გრძნობებით არის გამსჭვალული მშვიდობისმოყვარე, თავისუფლებისმოყვარე, ნიჭიერი ფრანგი ხალხისადმი და ფრანგი ხალხისა და საბჭოთა ხალხის მეგობრობა მიაჩნია ევროპაში ხანგრძლივი და მტკიცე მშვიდობის ერთ-ერთ მთავარ გარანტიად.

საფრანგეთის კომუნისტური პარტია მტკიცედ იცავს მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებს, გადამწყვეტ წინააღმდეგობას უწევს რევიზიონისტებისა და ბურჟუაზიული იდეოლოგების ყოველგვარ ცდებს — დაამახინჯონ დემოკრატიისა და სოციალიზმის იდეები, გათიშვა შეიტანონ მუშათა კლასის რიგებში. ერთგულად და თავდადებით ემსახურება რა თავის ხალხს, იგი თანმიმდევრულად მოუწოდებს მუშათა კლასს, საფრანგეთის მთელ დემოკრატიულ ძალებს განამტკიცონ მოქმედების ერთიანობა მშვიდობისათვის, კაპიტალისტური ექსპლოატაციის გაძლიერების წინააღმდეგ, საფრანგეთის დემოკრატიული განახლებისათვის ბრძოლაში.

გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, ახალ წარმატებებს თქვენს კეთილშობილურ მოღვაწეობაში საფრანგეთის მშრომელებისა და მთელი ხალხის საკეთილდღეოდ.

გაუმარჯოს საფრანგეთის სახელოვან კომუნისტურ პარტიას!

დაე მტკიცდებოდეს და ფართოვდებოდეს საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის ხალხთა მეგობრობა და თანამშრომლობა!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის აღსანიშნავად

◆ **ამიერკავკასიის** მეტალურგიშენის ტრესტის კოლექტივმა სახალხელო მაჩვენებლებს მიაღწია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში. მშენებლებმა ექვსი თვის გეგმით გათვალისწინებული 3.000 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის ნაცვლად დღეისათვის მშრომელებს გადასცეს 6.000 კვადრატული მეტრი ფართობის კეთილმოწყობილი ბინები.

განსაკუთრებული აღმავლობით შრომობენ ა. ზოდელავას კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრები, რომლებიც დღიურ დავალებებს ორმაგად ასრულებენ.

ო. ლეგანიძე,
მ. რამიშვილი.

◆ **თბილისის** აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში ფართოდ არის გაჩაღებული შეჯიბრება მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვებისათვის. ამას დიდი სარგებლობა მოაქვს საწარმოსათვის. ახლა ფაბრიკაში ბევრი ფეიქარი დავალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებს და მხოლოდ უმაღლესი ხარისხის პროდუქციას უშვებს. მათ შორის გამოირჩევიან მქსოველები ნ. მარკოზაშვილი და ა. კამინინა, მქსელავები ო. ზაქაიძე და მ. გოქსაძე.

ფაბრიკის კოლექტივმა სახახელო საწარმოო საჩუქარი მოუმზადა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს. საწარმომ 23 ივნისისათვის შეასრულა აბრეშუმის მზა პროდუქციის გამოშვების ნახევარი წლის დავალება. თვის ბოლომდე თბილისელი ფეიქრები გეგმის გადამეტებით 280 ათას მეტრზე მეტ მაღალხარისხოვან აბრეშუმის ქსოვილს მიაწოდებენ სავაჭრო ქსელს.

◆ **კუთაისის** მრეწველობამ 24 ივნისისათვის 100,3 პროცენტით შეასრულა საერთო პროდუქციის გამოშვების ნახევარი წლის გეგმა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის აღსანიშნავ შეჯიბრებაში საუკეთესო მაჩვენებლები მოიპოვეს მინის ტარის, ღვინის ქარხნების, სამკერვალო და ავეჯის ფაბრიკების, ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის და სხვა საწარმოთა კოლექტივებმა.

ნაკისრია ვალდებულება წლიური გეგმა შეასრულონ 20 დეკემბრისათვის.

◆ **ბათუმის** სამრეწველო საწარმოებმა ვალდებულებით გათვალისწინებულზე ორი დღით ადრე გაანაღდეს საერთო პროდუქციის გამოშვების ექვსი თვის გეგმა. ამ გამარჯვების მოპოვებაში განსაკუთრებით ისახელეს თავი საქართველოს თევზეპრის ბათუმის ფლოტმა, თამბაქოს საფერმენტაციო და მომთუთიებელმა ქარხნებმა, აგრეთვე ქალაქის სამრეწველო კომბინატის საწარმოებმა.

ქალაქის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა იკისრეს ივნისის ბოლომდე ქვეყანას მისცენ 20 მილიონ მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

(საკ. კორ.).

◆ **სტალინირის** ქარხანა „ელექტროვიბრომანქანა“ რესპუბლიკის ერთ-ერთი ახალგაზრდა საწარმოა, რომელიც ამზადებს მანქანებს სამთო მრეწველობის მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის. ახლახან ჭიათურის მარგანეცის მაღაროებში გაგზავნა ვიბრომანქანების დიდი პარტია, რომელთა მონტაჟზე სტალინირიდან ჩასული სპეციალისტები იმუშავებენ.

ქარხნის კოლექტივი თავდადებით შრომობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობის დღეებში. ქარხანაში აიწყეს და გამოუშვეს მეასე ვიბრომანქანა.

ი. თედიაშვილი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

კრემლის დიდ სასახლეში განაგრძობს მუშაობას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

25 ივნისს დილის სხდომის დასაწყისში მოსმენილ იქნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილისა და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის მოხსენება საფეიქრო მრეწველობის შემდგომი აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ.

ჩვენმა პარტიამ, ამბობს ამხ. კოსიგინი, უკანასკნელ წლებში განიხილა მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო პრობლემები და ისტორიული გადაწყვეტილებანი მიიღო მათ შესახებ. საფეიქრო მრეწველობის შემდგომი აღმავლობა იმ ჰეშმარიტად გიგანტური შემოქმედებითი მუშაობის ორგანული ნაწილი იქნება, რომელსაც საბჭოთა ხალხი ეწევა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით შვიდწლიანი გეგმის შესასრულებლად.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა, განაგრძო მომხსენებელმა, ახლა ახალ მძლავრ აღმავლობას განიცდის. დაწესებულ გეგმებს წარმატებით ასრულებს ყველა მოკავშირე რესპუბლიკისა და სახალხო მეურნეობის საბჭოების მრეწველობა. შვიდწლედის პირველ წელიწადში მრეწველობა უფრო სწრაფი ტემპით ვითარდება, ვიდრე ეს გათვალისწინებული იყო გეგმით. გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით სამრეწველო წარმოების მოცულობა მიმდინარე წლის იანვარ-ივნისში გაიზრდება 11 პროცენტით, მაშინ როცა წლიური დავალება 7,7 პროცენტია.

მძიმე ინდუსტრიის განვითარების უფრო სწრაფმა ტემპმა და სოფლის მეურნეობის მკვეთრმა აღმავლობამ შექმნა იმის პირობები, რომ სახალხო მოხმარების საქონლის მწარმოებელი მრეწველობა უზრუნველყოფილ იქნას ნედლეულით, მოწყობილობით, სათბობით, ენერგიითა და მასალებით.

სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდების ამოცანის გადაწყვეტაში, აღნიშნავს ამხ. კოსიგინი, დიდმნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის საფეიქრო მრეწველობას. მისი პროდუქცია დაახლოებით შეადგენს ჩვენი ქვეყნის მრეწველობის მთლიანი პროდუქციის მეათედს. ორი ათასზე მეტ სხვადასხვა საფეიქრო საწარმოში დასაქმებულია 1.300 ათასზე მეტი მუშა, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი და მოსამსახურე. ქსოვილების გამოშვებამ 1958 წელს მიაღწია თითქმის 7,5 მილიარდ მეტრს, 1,7-ჯერ გადააჭარბა 1940 წლის დონეს. ახლა ჩვენში მეტ ქსოვილს ვაწარმოებთ, ვიდრე მსოფლიოს რომელიმე ქვეყანაში, გარდა ამერიკის შეერთებული შტატებისა.

1965 წლის საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებულია გადიდდეს ქსოვილების წარმოება 10,6 მილიარდ მეტრამდე — რაც სამ მილიარდ მეტრზე მეტით აღემატება 1958 წელს წარმოებულს. ამასთან მნიშვნელოვნად გადიდდება იმ ქსოვილების გამოშვება, რომლებზეც ყველაზე დიდი მოთხოვნილებაა მოსახლეობის მხრივ, კერძოდ, ბუნებრივი და ხელოვნური ბოჭკოს ნარევის ქსოვილებისა.

ამხ. კოსიგინი ეხება საფეიქრო მრეწველობის შემდგომი განვითარების უმნიშვნელოვანეს საკითხებს.

პირველი საკითხი, აღნიშნავს ის, საწარმოო სიმძლავრეთა საკითხია, რომლებიც უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანი ოდენობით იზრდებოდა. ამასთან ჩვენმა მრეწველობამ ინგლისთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან შედარებით მოწყობილობის დატვირთვის უფრო მაღალ დონეს მიაღწია. მაგალითად, მაშინ როცა სართავი თითისტარების რაოდენობა ჩვენში 2,4-ჯერ და საქსოვი დაზგების რაოდენობა 1,5-ჯერ ნაკლებია, ქსოვილების გამოშვება ერთისამად მეტია, ვიდრე ინგლისში. ამერიკის შეერთებული შტატები ჩვენთან შედარებით ქსოვილებს უშვებენ ერთნახევარჯერ მეტს, მაგრამ მათ ორჯერ მეტი თითისტარი და 1,7-ჯერ მეტი საქსოვი დაზგა აქვთ.

პროდუქციის დიდი ზრდა ჩვენს საფეიქრო მრეწველობაში მიღწეულია მოწყობილობის დიდი შეცვლის, მუშაობის რეჟიმის სიჩქარეთა გადიდების, მთელი რიგი ძველი ფაბრიკების ხელახალი ტექნიკური შეიარაღებისა და ახალ საწარმოთა მშენებლობის გზით.

ახლა, როცა მკვეთრად დიდდება სოფლის მეურნეობისა და ქიმიური ნედლეულის წარმოება საფეიქრო მრეწველობისათვის, ხაზს უსვამს მომხსენებელი, საჭიროა უზრუნველვყოთ მისი თვისებრივი და სრული გადამუშავება. ამავე დროს საფეიქრო მრეწველობის მოქმედი საწარმოო სიმძლავრეები საკმარისი არ არის, ხოლო მათი ზრდა ჩამორჩება მოთხოვნილებას. ამიტომ საფეიქრო მრეწველობის შემდგომი აღმავლობის უზრუნველსაყოფად უაღრესად გადაუდებელი ამოცანაა საწარმოო სიმძლავრეთა ზრდა. შვიდწლედის მანძილზე უნდა ამუშავდეს 7,5 მილიონი სართავი თითისტარი და 155 ათასი საქსოვი დაზგა (შესაბამისად ოთხჯერ და უფრო მეტი და სამჯერ და უფრო მეტი, ვიდრე ამუშავდა წინა შვიდწლედში). ამ მიზნებისათვის გამოიყოფა 26 მილიარდი მანეთი კაპიტალური დაბანდება.

ახალ მშენებლობასთან ერთად დიდი ოდენობით გაიზრდება მოქმედ საწარმოთა სიმძლავრენი. მოქმედ საწარმოებში წარმოების გადიდების ფართო შესაძლებლობანი იქმნება, მოწყობილობის კომპლექსური მექანიზაციის შედეგად, როგორც ეს გვიჩვენა ივანოვოს მელანჟის კომბინატის მაგალითმა.

შემდეგ ამხ. კოსიგინი შეეხო საფეიქრო მრეწველობაში კაპიტალური მშენებლობის საკითხებს. ამასთან მან აღნიშნა, რომ შემდეგში ვეღარ შევურიგდებით ისეთ მდგომარეობას, როცა მშენებლობის გეგმები წლითწლობით არ სრულდება.

მოხსენებაში დიდი ადგილი დაიკავა საფეიქრო მრეწველობის ახალი ტექნიკით აღჭურვის საკითხებმა. უკანასკნელ პერიოდში ამ დარგში ცოტა რამ როდი გაკეთდა. თანამედროვე სართავი მანქანების ხვედრითი წონა ბამბეულის წარმოებაში 84 პროცენტამდე გადიდდა და ავტომატური საქსოვი დაზგებისა — 53 პროცენტამდე. შვიდწლედის განმავლობაში, აღნიშნა ამხ. კოსიგინმა, ჩვენ უნდა შევცვალოთ თითქმის ყველა მცირე მწარმოებლური სართავი მანქანა ახალი, თანამედროვე მანქანებით და ავტომატური საქსოვი დაზგების ხვედრითი წონა გავადიდოთ 75 პროცენტამდე.

მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ საფეიქრო მანქანების წარმოება როგორც რაოდენობის, ისე ხარისხის მიხედვით ჩამორჩება მზარდ მოთხოვნილებებს. ჩამორჩენის ლიკვიდაციისა და საფეიქრო მანქანათმშენებლობის ბაზის განმტკიცებისათვის შვიდწლიან გეგმაში დასახულია 37 მოქმედი ქარხნის რეკონსტრუქცია და გაფართოება და 6 ახალი ქარხნის მშენებლობა. ამასთან მანქანათმშენებლები ვალდებული არიან, აღნიშნა მომხსენებელმა, გამოუშვან თანამედროვე კონსტრუქციების უფრო მწარმოებლური, ნაკლები გაბარიტებისა და წონის მანქანები. ამავე დროს, მთელ რიგ შემთხვევებში ჩვენი ქარხნები უშვებენ მოძველებულ მანქანებს.

შემდეგ მომხსენებელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჭიროა შევიმუშაოთ ღონისძიებანი იმისათვის, რომ მანქანათსაშენებელ ქარხნებში მოეწყოს მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საშუალებათა ცენტრალიზებული გამოშვება საფეიქრო მრეწველობის საწარმოებისათვის, ხოლო მთელი ახალი მოწყობილობა გამოშვებულ იქნას კომპლექსურად ავტომატიზაციის ყველა საშუალებით.

ამხ. კოსიგინი აღნიშნავს, რომ საფეიქრო მრეწველობაში ჯერ კიდევ მთელი რეზერვები როდია გამოყენებული. მოხსენებაში მოყვანილია ასეთი მაგალითი. ბამბეულის სამ ახალ კომბინატში — ჩებოქსარის, ბარნაულისა და კამიშინის კომბინატებში, რომლებიც აღჭურვილი არიან ერთი ტიპის მოწყობილობით და უშვებენ თითქმის ერთნაირი ასორტიმენტის ქსოვილებს, მოწყობილობის მწარმოებლურობა სხვადასხვაგვარია. თუ ჩებოქსარის კომბინატში ყოველი ათასი სართავი თითისტარი საათში აწარმოებს 12,5 კილოგრამ ნართს, ბარნაულის კომბინატში — 11 კილოგრამს, ხოლო კამიშინის კომბინატში — 10,6 კილოგრამს. ასეთი მაგალითი ბევრია. ამიტომ ქსოვილების გამოშვების გადიდების საქმეში უმნიშვნელოვანესი რეზერვია მოწინავე საწარმოთა გამოცდილების ყოველი ღონისძიებით გავრცელება.

შემდეგ ა. ნ. კოსიგინი ლაპარაკობს საფეიქრო მრეწველობის უზრუნველყოფაზე ნედლეულით. თუ ბამბის, სელის, კანაფისა და მატყლის წარმოების ზრდის დარგში შეიძლება აღინიშნოს სერიოზული წარმატებები, ამბობს იგი, ამ სახეობათა ნედლეულის ხარისხის მხრივ ჯერ კიდევ არის არსებითი ნაკლოვანებები. ნედლი ბამბის დანაგვიანება ერთისამად აღემატება დაწესებულ ნორმებს, აბარებენ დაუმწიფებელ ნედლ ბამბას. მრეწველობა მაღალ შეფასებას აძლევს ახალი სელექციების წმინდაბოჭკოიანი ბამბის სართავ თვისებებს, რომელიც მოყვანილია ჩვენს მინდვრებში. მაგრამ ამ ბამბის ნათესების გაფართოება მეტად ნელა მიმდინარეობს. თურქმენეთისა და ტაჯიკეთის სს რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა უნდა განიხილონ 1960 წელს წმინდაბოჭკოიანი ბამბის ნათესების გადიდების საკითხი. საჭიროა უახლოეს წლებში გამოვიყენოთ და დავნერგოთ წარმოებაში უფრო მაღალხარისხოვანი ჯიშების ბამბა, რომელიც ბოჭკოს დიდ გამოსავალს იძლევა.

დიდი რაოდენობით იღებს მრეწველობა მატყლის ნედლეულს. განვლილი ხუთი წლის მანძილზე წმინდა მატყლის რაოდენობა, რომელიც მრეწველობამ მიიღო, ერთისამად და მეტად გადიდდა. მიმდინარე შვიდწლედში შემდგომ განვითარდება ნაზმატყლიანი მეცხვარეობა, რაც ხელსაყრელ პერსპექტივებს უქმნის შალის მრეწველობის განვითარებას.

ნედლეულის ბალანსში ბამბის შემდეგ მეორე ადგილს დაიკავებენ ქიმიური ბოჭკოები, განაგრძო ამხ. კოსიგინმა. საჭიროა სერიოზული ყურადღება მიექცეს მათი ასორტიმენტის გაუმჯობესებასა და გაფართოებას. უნდა შემუშავდეს ქიმიურ ქარხნებში ტექნოლოგიის გაუმჯობესებისა და წარმოების კულტურის ამაღლების ღონისძიებანი, მიღწეულ იქნას ხელოვნური ბოჭკოს და მისი ნედლეულის ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესება.

ქიმიურმა მრეწველობამ სავსებით უნდა უზრუნველყოს გამოსაყვანი და სატრიკოტაჟო ფაბრიკები კეთილხარისხოვანი საღებავებით და პრეპარატებით.

აღნიშნა რა საფეიქრო მრეწველობის დაგროვების დიდი როლი სახელმწიფო ბიუჯეტისათვის, მომხსენებელმა განაცხადა, რომ ამ მრეწველობაში არის თვითღირებულების შემდგომი შემცირებისა და დაგროვების გადიდების უფრო მეტი რეზერვები. სახალხო მეურნეობის საბჭოებმა და საფეიქრო საწარმოთა ხელმძღვანელებმა უნდა შეიმუშაონ ღონისძიებანი, რათა აღმოფხვრან ნახევარფაბრიკატების წუნი, მზა საქონლის მანკი, და არ დაუშვან სხვა დანაკარგები.

ამით უზრუნველყოფილ უნდა იქნას პროდუქციის თვითღირებულების შემცირება და დაგროვების გადიდება. თვითღირებულების შემცირების უმნიშვნელოვანესი რეზერვია ნედლეულის ეკონომიური გამოყენება და შრომის ნაყოფიერების ზრდა

(დასასრული მე-2 გვერდზე)

140.000 ცხენ ჩასათვლელ!

ოჩამჩირის რაიონის მოქვის საშუალო სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლე მარია სამარეცი წარმატებით მუშაობს ადგილბრივი ჩაის საბჭოთა მეურნეობის სასკოლო ბრიგადაში. იგი ყოველდღიურ ნორმას 240-300 პროცენტით ასრულებს.

ფოტო ნ. მალაღურაძისა.

ᲘᲪᲜᲝᲒᲓᲔᲗ, ᲛᲐᲗ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲒᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲘᲩᲘᲜᲔᲡ ᲗᲐᲕᲘ ᲩᲐᲘᲡ ᲙᲠᲔᲤᲐᲨᲘ

ᲒᲐᲚᲘ. სოციალისტური შრომის გმირმა **დაფინა ყოლბაიამ** სოფელ ჭუბურხინჯის კოლმეურნეობა „მეგობრობაში“ მოკრიფა 70 კილოგრამი ჩაის ფოთოლი ნაცვლად 25 კილოგრამისა, დებმა **ნანული** და **ნუნუ გერგედავებმა, ფაცია** და **მზია ყოლბაიებმა** მოკრიფეს 65 კილოგრამი ჩაის ნედლეული თვითეულმა. **ლამარა სეჭინავამ** აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში მოკრიფა 67 კილოგრამი ჩაის ფოთოლი; კრეფის დღიური ნორმები სამმაგად გაანაღდეს **თამარ ქანთარიამ, ნანული ნარსიამ** და **მატრონა ლეონტიევამ.**

ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ. **ნადია გოგოტაძემ** სოფელ კონჭკათის კოლმეურნეობაში მოკრიფა 83 კილოგრამი ჩაის ფოთოლი და დღიური დავალება 300 პროცენტით შეასრულა. **თალიკო არაშიძემ** ამავე კოლმეურნეობაში მოკრიფა 76 კილოგრამი ჩაის ფოთოლი ნაცვლად 25 კილოგრამისა, ხოლო **ვერა გირკელიძემ** სოფელ ბოხვაურის კოლმეურნეობაში ჩაის კრეფის დღიური ნორმა სამმაგად შეასრულა.

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲕᲘᲖᲘ

მახარაძის რაიონის ნატანების ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში ბევრი სახელმოხვეჭილი მეჩაიე მუშაობს. მეტი ჩაის ფოთოლი სამშობლოს! — აი ამ დევიზით შრომობენ დღეს ამ კოლმეურნეობის ახალგაზრდა მეჩაიეები. დაწინაურდა მეოთხმეტე ბრიგადის კომკავშირული რგოლი, რომელსაც ახალგაზრდა მეჩაიე დარეჯან თავაძე ხელძღვანელობს. რგოლმა ვადამდე შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის მაისის დავალება. მოკრიფა 900 კილოგრამზე მეტი „მწვანე ოქრო“. რგოლის წევრებმა ლამარა დოლიძემ, მერი გობრონიძემ, ლეილა ცქვიტინიძემ და თინა თავაძემ ფოთლის კრეფის მაისის გეგმას სამასსამასი კილოგრამით გადააჭარბეს.

მოწინავე მეჩაიეთა რგოლი შეჯიბრებაშია ჩაბმული კომუნისტური შრომის ბრიგადის კომკავშირულ რგოლთან. დ. თავაძის რგოლს ძლიერი „მეტოქენი“ აღმოუჩნდნენ. კომუნისტური შრომის ბრიგადის კომკავშირულმა რგოლმა, რომელსაც ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტი ეთერ ნიკოლაშვილი ხელმძღვანელობს, 28 მაისისათვის შეასრულა ფოთლის კრეფის მაისის გეგმა და სამშობლოს 5 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი ჩაბარა.

ნ. ᲥᲘᲜᲫᲚᲐᲫᲔ,
ნატანების კოლმეურნეობის მრავალტირაჟიანი გაზეთის „ნატანებელი კოლმეურნის“ რედაქტორი.

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲩᲐᲑᲛᲣᲚ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲨᲘ

25 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ. რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 67 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფეს. სულ რაიონში სეზონის დაწყებიდან მოკრეფილია 14.110 ტონა ჩაის ნედლეული, ანუ შარშანდელზე 2.718 ტონით მეტი.

ᲥᲝᲑᲣᲚᲔᲗᲘ. ქობულეთის მეჩაიეებმა მოკრიფეს 45,8 ტონა ჩაის ფოთოლი. სულ სეზონის დაწყებიდან მოკრეფილია 8.491,4 ტონა.

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ. რაიონის მეჩაიეებმა მოკრიფეს 80 ტონა ჩაის ფოთოლი, სულ სეზონის დაწყებიდან — 8.207 ტონა, რაც შარშანდელზე 1.634 ტონით მეტია.

ᲒᲐᲚᲘ. რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობამ მოკრიფეს 75 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. სეზონის დაწყებიდან სულ მოკრეფილია 5.793 ტონა ჩაის ნედლეული.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

(დასასრული)

ახალი ტექნიკის დანერგვის საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის გზით.

შემდეგ ამხ. კოსიგინი ეხება მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და მშენებლობის დაგეგმვის მოწესრიგების წესს.

ამთავრებს რა თავის მოხსენებას, ამხ. კოსიგინი ამბობს:

— პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ყველა რესპუბლიკის და სახალხო მეურნეობის საბჭოს ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკების მონაწილეობით საფეიქრო მრეწველობის მუშაობის საკითხის განხილვა წარმოადგენს იმის ახალ დადასტურებას, რომ ჩვენი პარტია შეუნელებელ ზრუნვას იჩენს ხალხისათვის, მისი სასიცოცხლო ინტერესებისათვის და ეს მიაჩნია თავისი მოღვაწეობის უაღრესად დიდმნიშვნელოვან და მთავარ საქმედ. პლენუმზე საფეიქრო მრეწველობის შემდგომი აღმავლობის ღონისძიებათა საკითხის განხილვა ცხადყოფს, რომ ახლანდელ შვიდწლედში ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ქსოვილების, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის წარმოების ისეთი დონის მიღწევა, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს მთლიანად დავაკმაყოფილოთ მთელი ჩვენი მოსახლეობის მოთხოვნილებანი.

საფეიქრო მრეწველობის მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები დიდი აღფრთოვანებით შეხვდებიან ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს. ისინი მთელ თავიანთ ძალებს მოახმარენ და დარაზმავენ შემოქმედებითს ენერგიას სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების დიდი პროგრამის ვადამდე შესრულებისათვის.

პლენუმის გადაწყვეტილებანი გამოიწვევენ მთელი საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი აქტივობისა და შრომითი ენთუზიაზმის ახალ მოზღვავებას კომუნისტური მშენებლობის იმ დიდებული პროგრამის განსახორციელებლად, რომელიც კომუნისტური პარტიის XXI ყრილობამ დასახა.

შემდეგ პლენუმი შეუდგა მოხსენებათა განხილვას.

კამათში პირველი გამოვიდა უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ელექტროშედუღების ინსტიტუტის დირექტორი **ბ. ე. პატონი**, რომელიც შეეხო საშემდუღებლო წარმოების განვითარების საკითხებს. საბჭოთა კავშირს, თქვა მან, პირველი ადგილი უკავია ამ დარგში. ჩვენმა ქვეყანამ უკან მოიტოვა ამერიკის შეერთებული შტატები ფლუსით შედუღებისა და ელექტროწყვიდით შედუღების ყველაზე პროგრესული წესების გამოყენების მოცულობის მხრივ.

უკრაინელმა მეცნიერმა აღნიშნა, რომ შვიდწლედის განმავლობაში გათვალისწინებულია შესადუღებელი კონსტრუქციების წარმოების მოცულობის ერთიორად გადიდება 1958 წელთან შედარებით. ახლა საჭიროა შემოვიღოთ მთლიანად ტექნოლოგიური პროცესის კომპლექსური მექანიზაცია, უახლესი მაღალმწარმოებლური შესადუღებელი და დამხმარე მოწყობილობით აღჭურვილი ნაკადური და ავტომატური ხაზები.

შეეხო რა მუშაობას ცალკეულ ქარხნებში ნაკადური ასაწყობ-შესადუღებელი ხაზების შესაქმნელად, ამხ. პატონმა გამოთქვა აზრი, რომ ამ მუშაობის მასშტაბი და ტემპი არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს. საჭიროა უფრო გაბედულად გადაესინჯოთ იმ ნაკეთობათა კონსტრუქციები, რომლებიც გადაგვყავს დამზადების ნაკადურ მეთოდებზე შედუღების მექანიზებული წესების გამოყენებით. უნდა დავაჩქაროთ შედუღების დროს დამხმარე ოპერაციების მექანიზაციისათვის საჭირო მოწყობილობის ცენტრალიზებული წარმოების ორგანიზაცია.

ტრიბუნაზეა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გორკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ლ. ნ. ეფრემოვი**. აწონდაწონეს რა თავიანთი რეალური შესაძლებლობანი, ამბობს იგი, გორკის ოლქის საწარმოთა და მშენებლობათა კოლექტივებმა გადაწყვიტეს ვადამდე შეასრულონ შვიდწლიანი გეგმა და უკვე 1964 წელს მიაღწიონ მთლიანი პროდუქციის გამოშვების დონეს, რომელიც დაგეგმილია შვიდწლედის ბოლოსათვის. ზოგიერთმა საწარმომ — „წითელმა სორმოვომ“, ვიქსის, კულებაკის მეტალურგიულმა ქარხნებმა და სხვებმა იკისრეს ვალდებულება ასეთ დონეს მიაღწიონ უკვე 1963 წელს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის აღსანიშნავად ოლქის სამრეწველო საწარმოთა მშრომელებმა ვადამდე, 23 ივნისს, შეასრულეს წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო გეგმა.

ამხ. ეფრემოვი აღნიშნავს, რომ შვიდწლედის განმავლობაში ოლქის მრეწველობაში მოხდება აგრეთვე დიდი თვისობრივი ცვლილებები, თითქმის ყველა მანქანა, ჩარხი, ხელსაწყო, რომელიც ახლა გამოდის, უნდა შეიცვალოს ახალი, ტექნიკურად უფრო სრულყოფილი და ეკონომიური მანქანებით, ჩარხებით და ხელსაწყოებით.

რათა წარმატებით გადაჭრან შვიდწლედში დასახული ამოცანები, ოლქის მრეწველობის მუშაკები ახორციელებენ წარმოების ტექნიკური ხელახალ შეიარაღებას. დასახულია დაინერგოს 220-ზე მეტი ავტომატური და ნახევარავტომატური ხაზი, 1.100 ნაკადური მექანიზებული და კონვეიერული ხაზი, დაიდგას დაახლოებით 18 ათასი ერთეული ავტომატური, ნახევარავტომატური და სხვა მაღალმწარმოებლური მოწყობილობა, განხორციელდეს 12 ათასი ერთეული ლითონსაჭრელი, სამჭედლო-საწნეხი და სამსხმელო მოწყობილობის მოდერნიზაცია. პირველი ნაბიჯები ამ დარგში უკვე გადაიდგა.

თავისი გამოსვლის დასკვნითი ნაწილი ამხ. ეფრემოვმა მიუძღვნა ქიმიური მრეწველობის განვითარების საკითხებს.

ხარკოვის ეკონომიური რაიონი მანქანათმშენებლობის ერთ-ერთი დიდი ცენტრია. სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარემ **ნ. ა. სობოლმა** თავის გამოსვლაში უამბო პლენუმს, რას აკეთებენ ხარკოვის მანქანათმშენებლები მრეწველობაში და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში ტექნიკური პროგრესის დასაჩქარებლად. მაგალითისათვის მან დაასახელა საკონტროლო-საზომი ხელსაწყოების ქარხანა, რომელიც ამზადებს ავტომატური კონტროლისა და რეგულირების აპარატურას მეტალურგიული, სამთო და ქიმიური მრეწველობისათვის, ხელსაწყოები, რომლებსაც ქარხანა უშვებს, დაფუძნებულია ელექტრონიკის, ნახევარგამტარებისა და რადიოექტიური ელემენტების გამოყენებაზე. მარტენის ღუმელებში წვისა და წნევის პროცესების ავტომატური რეგულირების სისტემა, რომელიც ქარხანამ შეიმუშავა, მიღებულია ინდოეთში შენდებადი მეტალურგიული ქარხნის ექვსი მარტენის ღუმელის აღჭურვისათვის. ხარკოვის ელექტრომექანიკური ქარხანა უშვებს ელექტრომოწყობილობას, რომელიც უზრუნველყოფს ბრძმედების ჩატვირთვისა და მუშაობის სრულ ავტომატიზაციას, საგლინავი დანებისა და დიდი ელსაკავატორების მართვის ავტომატიზაციას.

ამხ. სობოლმა აღნიშნა, რომ სახალხო მეურნეობის საბჭოში გათვალისწინებული მძიმე მრეწველობისათვის ავტომატიზაციის საშუალებათა გამოშვების ერთიანქვსად გადიდება უზრუნველყოფილი იქნება არა 7 წლის განმავლობაში, არამედ ვადამდე —5 წელიწადში.

იმისათვის, რომ გადავლახოთ წინათ შექმნილი ჩამორჩენა სამსხმელო საამქროების განვითარებაში, თქვა შემდეგ ორატორმა, სახალხო მეურნეობის საბჭომ შეიმუშავა და ახორციელებს საწარმო პროცესების მექანიზაციისა და პროგრესულ სახეობათა სხმულის გამოშვების გადიდების მთელ რიგ ღონისძიებებს. ხარკოვის სატრაქტორო ქარხნის თუჯსამსხმელო საამქროში პირველად სსრ კავშირში გადაეცა საექსპლოატაციოდ წვრილი და საშუალო სხმულის გაწმენდის ავტომატიზებული ხაზი, რამაც შესაძლებელი გახადა ერთიორად და მეტად გადიდებულიყო შრომის ნაყოფიერება ამ უბანზე.

ამხ. სობოლის აზრით, ახალი ტექნიკის წარმატებით დანერგვის მიზნით ყველა მასალა და დასაკომპლექტებელი ნაკეთობანი, რომლებიც საჭიროა მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საშუალებათა დამზადებისათვის, მოწყობილობის მოდერნიზაციისა და რემონტისათვის და საცდელი მანქანების შექმნისათვის, გამოიყოს სახალხო მეურნეობის საბჭოების განაცხადებით ძირითადი პროდუქციის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის თანაბრად. საჭიროა აგრეთვე გათვალისწინებულ იქნეს მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საშუალებათა და მოწყობილობის მოდერნიზაციისათვის საჭირო ტიპობრივი კვანძების დამამზადებელი სპეციალიზებული საწარმოების სიმძლავრეთა გადიდება.

დიდმნიშვნელოვანი ინიციატივა, რომლის მიზანია შვიდწლიანი გეგმის დავალებათა უსწრაფესად შესრულება, გამოიჩინეს ამ ცოტა ხნის წინათ ვლადიმირის ოლქის მშრომელებმა. ამ თაოსნობის შესახებ ილაპარაკა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ვლადიმირის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **კ. ნ. გრიშინმა**. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შიერ მოწონებულ ღონისძიებათა და მრავალი ქარხნისა და ფაბრიკის დამატებით წინადადებათა განხორციელება საშუალებას მისცემს ოლქს უკვე 1963 წელს, ანუ ორი წლით ადრე, მიაღწიოს 1965 წლისათვის დაგეგმილ წარმოების დონეს როგორც მთლიანი პროდუქციის საერთო მოცულობის მხრივ, ისე უმნიშვნელოვანეს ნაკეთობათა — ექსკავატორების, მოტოციკლების, ბამბისა და სელის ქსოვილების მხრივ. შვიდწლიანი დავალების გადამეტებით გამოშვებულ იქნება რამდენიმე მილიარდი მანეთის სხვადასხვა პროდუქცია.

ორატორმა შემდეგ აღნიშნა, რომ საამქროთა რეკონსტრუქციისა და ნაწილობრივი გაფართოების გზით საწარმოო სიმძლავრეების გადიდება შესაძლებელს გახდის დაიხარჯოს 500-600 მილიონი მანეთით ნაკლები, ვიდრე საჭირო იქნებოდა ასეთივე სიმძლავრის ახალ საწარმოთა აშენებისათვის.

სატრაქტორო, ქიმიური და ავტომობილის ხელსაწყოების ქარხნების ინიციატივით, თქვა ამხ. გრიშინმა, ყველგან ეწყობა წარმოების შინარეზერვების საზოგადოებრივი დათვალიერება. თუ შარშან ოლქის საწარმოებში შეტანილი იყო 32 ათასი რაციონალიზატორული წინადადება, მიმდინარე წლის ორ თვეში საზოგადოებრივი დათვალიერების დროს მიღებულია 41 ათასი წინადადება, რომელთა პირობითი წლიური ეკონომია დაახლოებით 97 მილიონ მანეთს უდრის.

ორატორი აღნიშნავს, რომ ვლადიმირის ოლქის საწარმოებში გადაუჭრელი რჩება ბევრი საკითხი, რომლებიც დაკავშირებულია მოწყობილობის მოდერნიზაციასთან და ავტომატიზაციასთან. მას მიაჩნია, რომ საჭიროა შემუშავდეს მოწყობილობის ტიპობრივი სტანდარტული კვანძები და ელემენტები და მოეწყოს მათი ცენტრალიზებული დამზადება.

თავისი სიტყვის დასასრულს ამხ. გრიშინი აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ახლანდელი პლენუმი უდიდეს როლს შეასრულებს პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა ვადამდე შესრულებისაკენ. საყოველთაო სახალხო მოძრაობის შემდგომ აღმავლობაში.

ტაშკენტის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარემ **ი. იგამბერდიევმა** განაცხადა, რომ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე საწარმოებში გაუმჯობესდა წარმოების ორგანიზაცია, უფრო რაციონალურად იყენებენ მოწყობილობას. გაერთიანებულია მთელი რიგი მონათესავე საწარმოები. რამდენადმე გამარტივდა მართვის სტრუქტურა.

მთლიანი პროდუქციის წარმოების 1957-1958 წლების გეგმა ვადამდე შესრულდა, გადაჭარბებით შესრულდა შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დავალებანი. წარმოების ზრდის ტემპი განუხრელად მატულობს. 1959 წელს განსაკუთრებით სწრაფი ტემპით განვითარდება ფერადი მეტალურგია, მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება, ქიმიური მრეწველობა და საშენ მასალათა მრეწველობა.

შეეხო რა მებამბეობის მექანიზაციას, ამხ. იგამბერდიევმა აღნიშნა, რომ 1959-1962 წლებში სახალხო მეურნეობის საბჭომ უნდა შექმნას 40-ზე მეტი ახალი კონსტრუქციის მანქანები, რომლებიც შესაძლებელს გახდიან განხორციელდეს ბამბის მოყვანის ყველა პროცესის მექანიზაცია. დასახულია აგრეთვე 13 ახალი ტიპის მანქანების გამოშვება საირიგაციო სამუშაოთა და ბამბის მინდვრების დაგეგმვის მექანიზაციისათვის.

ტაშკენტის ეკონომიური რაიონის საწარმოებში შვიდწლედის მანძილზე გათვალისწინებულია დაიდგას 400-ზე მეტი კონვეიერული და ნაკადური ხაზი, დაინერგოს ორი ათასამდე ერთეული სპეციალური მოწყობილობა, მოეწყოს 50 კომპლექსურად მექანიზებული საამქრო და 13 კომპლექსურად მექანიზებული და ავტომატიზებული საწარმო.

ამხ. იგამბერდიევმა აზრი გამოთქვა, რომ საჭიროა ცენტრალურმა დარგობრივმა ინსტიტუტებმა უფრო მჭიდრო კავშირი დაამყარონ სახალხო მეურნეობის საბჭოებთან. წარმოებაში ახალი მანქანების დაყენების დროს, ამბობს ორატორი, ქარხნებში უნდა გაიგზავნონ ყველაზე კვალიფიციური სპეციალისტები ტექნოლოგიური ინსტიტუტებიდან. ორატორს საჭიროდ მიაჩნია განხილულ იქნეს ტაშკენტში სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ფილიალის მოწყობის საკითხი.

სიტყვა ეძლევა უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს **ვ. ვ. შჩერბიცკის**. უკრაინის საწარმოებში და მშენებლობებზე, ამბობს იგი, გაჩაღდა ჭეშმარიტად საყოველთაო სახალხო მოძრაობა რეზერვების გამოყენებისათვის შვიდწლედის ვადამდე შესასრულებლად.

რესპუბლიკაში გასულ წელს და მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ამუშავდა 490 კონვეიერული, ავტომატური და ნახევარავტომატური ხაზები, შეიქმნა დაახლოებით 250 ნიმუშის ახალი მანქანები, ხელსაწყოები და მექანიზმები. მაგრამ, აღნიშნავს ორატორი, ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის უაღრესად სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს ტექნოლოგიური პროცესის კომპლექსური ავტომატიზაციისა და მექანიზაციის უსწრაფესად განხორციელებას და მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის ტექნიკური დონის ამაღლებას. ამავე დროს რესპუბლიკის ზოგიერთი ეკონომიური რაიონის საწარმოები ჯერ კიდევ ცოტას როდი უშვებენ მოძველებული კონსტრუქციების მანქანებსა და მოწყობილობას დაბალი ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლებით, ნელა ეუფლებიან ახალ სრულყოფილ მანქანებს.

ამხ. შჩერბიცკი აღნიშნავს, რომ მექანიზაციისა და ავტომატიზაციის სამუშაოთა ნელი ტემპი აიხსნება, კერძოდ, იმით, რომ ჯერ კიდევ სუსტად ხორციელდება სპეციალიზაცია, აღმოფხვრილი არ არის მანქანების წვრილსერიული გამოშვება, და აცხადებს, რომ უკრაინაში ახლა ხორციელდება სხმულის, ნაჭედის, ნატვიფრის, სათადარიგო ნაწილებისა და ინსტრუმენტების წარმოების სპეციალიზაციის ღონისძიებანი.

ეხება რა შემდეგ ქვანახშირის მრეწველობის განვითარების საკითხებს, ორატორი აღნიშნავს, რომ უკანასკნელ წლებში საგრძნობი მუშაობაა გაწეული ქვანახშირის ამოღების პროგრესული მეთოდების დანერგვისა და მოწინავე ტექნიკით შახტების აღჭურვისათვის. მაგრამ, ამბობს იგი, შრომის ნაყოფიერება მეურნეობის ამ დარგში ჯერ კიდევ დაბალია. ეს დამოკიდებულია, უწინარეს ყოვლისა, საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ნაკლოვანებაზე.

ამხ. შჩერბიცკი შემდეგ აღნიშნავს, რომ საწარმოო პროცესთა მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონე შავი მეტალურგიის ქარხნებში არასაკმაოა. იგი ხაზს უსვამს იმას, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს შემდგომ მუშაობას ბრძმედების გადასაყვანად ბუნებრივ გაზსა და ანგარაზზე და ძველი ბრძმედების რეკონსტრუქციის განსახორციელებლად, რასაც შეუძლია მნიშვნელოვნად დაჩქაროს თუჯის გამოსადნობ სიმძლავრეთა ზრდა.

როსტოვის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის **პ. ი. აბროსკინის** გამოსვლის მნიშვნელოვანი ნაწილი მიეძღვნა სპეციალიზაციის საკითხებს, რომელიც ქმნის პირობებს ყველაზე პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების გამოყენებისათვის, წარმოების მაქსიმალური ავტომატიზაციისათვის.

სპეციალიზაციის ეფექტიანობა მან ცხადყო, კერძოდ, ორი დიდი კომბაინის ქარხნის — როსტოვისა და ტაგანროგის ქარხნების მაგალითით. უფრო სრულყოფილ თვითმავალ მარცვლეულის კომბაინების წარმოებაზე გადასვლასთან დაკავშირებით სახალხო მეურნეობის საბჭომ გადაწყვიტა დაავალოს როსტოვის სასოფლო-სამეურნეო მანქანათსაშენებელ ქარხანას სალეწი და საბულულებელი მანქანების დამზადება, ტაგანროგის ქარხანას—სავალი ნაწილის გამოშვება. ასეთი სპეციალიზაციის შედეგად კომბაინების სერიული წარმოების ათვისების ვადები მკვეთრად შემცირდა, მნიშვნელოვანი მასშტაბით გამოყენებული იქნა ახალი ტექნიკა, შექმნილია სიმძლავრენი, რომლებიც უზრუნველყოფენ კომბაინების გამოშვებას შვიდწლედის დავალებათა შესაბამისად.

ამხ. აბროსკინი შემდეგ ლაპარაკობს მუშაობაზე ჩარხმშენებლობის, სხმის, საშენმასალათა წარმოების სპეციალიზაციის დარგში. მან აღნიშნა, რომ შარშან და 1959 წლის პირველ ნახევარში დაიდგა 70 ნაკადური და 3 ავტომატური ხაზი, მოდერნიზებულია 1.000-ზე მეტი ერთეული მოწყობილობა, ავტომატიზებულია 50 სამთოსაშახტო დანადგარი ქვანახშირის მრეწველობაში.

აღნიშნა რა ამასთან მთელი რიგი ნაკლოვანებანი მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის საქმეში, ორატორმა გამოთქვა აზრი, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა სახალხო მეურნეობის საბჭოებისათვის უფლების მინიჭება მოახმარონ ავტომატიზაციისა და მექანიზაციის განვითარებას კაპიტალური მშენებლობისათვის გამოყოფილი სახსრების 5-მდე პროცენტი, ხოლო რუსეთის სფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ გაითვალისწინოს მსხვილი მექანიზებული საწარმოების საბჭოს შექმნა, რომლებიც გამოუშვებენ ავტომატიზაციის საშუალებებს, უნიფიცირებულ კვანძებს მოწყობილობის მოდერნიზაციისათვის.

ამხ. აბროსკინის გამოსვლით დამთავრდა დილის სხდომა.

* * *

საღამოს სხდომაზე გამოვიდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ტულის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. ი. ხვოროსტუხინი, ბელორუსიის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე ა. მ. ტარასოვი, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე ვ. ვ. გრიშინი, ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დ. ა. კუნაევი, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი შ. რ. რაშიდოვი, ელექტროსადგურთა მშენებლობის მინისტრი ი. ტ. ნოვიკოვი, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის წევრი ვ. ე. დიმიციი, რუსეთის სფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე გ. მ. ორლოვი, მოსკოვის საოლქო სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე კ. ი. ბრეხოვი.

26 ივნისს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი განაგრძობს მუშაობას. (საკდესი).

ამხანაგ ხრუშჩოვს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირში მოწვეული საფრანგეთის კომუნისტური პარტიის თხუთმეტი ვეტერანი, რომლებიც ხელს აწერენ ამ წერილს, წასვლის წინ დიდ მადლობას გიძღვნით თქვენ ძმური მიღებისა და უყურადღებისათვის, აგრეთვე მადლობას გიძღვნით იმისათვის, რომ მათ შესაძლებლობა მიეცათ სწვევოდნენ თქვენს მშვენიერ ქვეყანას.

მათ სურთ გამოთქვან თავიანთი აღტაცება ყველა თქვენი მიღწევის გამო, რომლებიც თქვენ გაუყენებთ ყველა ხალხის სათავეში კაცობრიობის პროგრესის გზაზე.

ისინი უამბობენ ამ მიღწევების შესახებ ფრანგ ხალხს, რომელიც უკვე აღტაცებულია თქვენით და უყვარხართ თქვენ.

ისინი უამბობენ საფრანგეთის ხალხს იმ უდიდეს ღონისძიებებზე, რომლებსაც თქვენ ახორციელებთ თქვენი ახალგაზრდობისათვის, რომლის ცხოვრება თქვენ აგაყავთ ყველაზე მაღალ კულტურულ დონეზე, ყველაზე კეთილშობილური ჰუმანიზმის დონეზე.

ისინი უამბობენ ყოველივე იმის შესახებ, რასაც თქვენ აკეთებთ მშრომელთა ცხოვრების პირობების განუწყვეტელი გაუმჯობესებისათვის, იმ უდიდესი თანხების შესახებ, რომლებსაც თქვენ გამოიყოფთ ჯანმრთელობის დაცვისათვის, კომფორტაბელური საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის; იმ მზრუნველობის შესახებ, რომელსაც თქვენ იჩენთ, საშუალებას აძლევთ რა მშრომელებს დაისვენონ თქვენს სპორტულ, არტისტულ და კულტურულ დაწესებულებებში, რაც მათ საკუთარი თვალით დაიმახსოვრეს იმით, რომ თავდადებით მუშაობენ, რათა განახორციელონ, ამჟამად უკვე უდავო, თქვენი შესანიშნავი შვიდწლიანი გეგმა.

ისინი უამბობენ საბჭოთა ხალხის მისწრაფებაზე მშვიდობისადმი, რაც გამოიხატება ამხანაგ ხრუშჩოვისა და საბჭოთა მთავრობის მგზნებარე და ეფექტიანი ბრძოლით, რომლებიც ამ კეთილშობილურ ტრადიციაში ბაძავენ დიდ ლენინს, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის პირველ დღიდანვე უდიდეს მზრუნველობას იჩენდა მშვიდობისათვის.

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ვეტერანები, რომლებმაც ახლა ინახულეს ისტორიული ადგილები, სადაც ამხანაგი ლენინი, ჰქონდა რა ხალხის რწმენა, მტკიცედ და დაუინებით ჰქმნიდა ძლევამოსილი რევოლუციის ლოზუნგებსა და სტრატეგიას, ამ დიდებულ მაგალითში პოულენ ახალ საფუძველსა და მეტ გამბედაობას, რომ კიდევ უკეთ იბრძოლონ დემოკრატიის აღდგენისათვის თავიანთ ქვეყანაში. მშვიდობის შენარჩუნებისათვის, სოციალიზმის გამარჯვებისათვის.

ა. დეგეიუსუა, მ. დიუპიუი, ლ. პრო, ჟ. ლორანტი, ლ. ნიკო,
ა. პეტი, ო. ტუშარი, ს. სამსონი, ჟ. ლიანიუსი, შ. შაპოტა,
მ. ბანერი, ე. გაიარი, რ. ბონეფი ი. ტომა, ჟ. რუსო.

საბჭოთა მთავრობის განცხადება

25 ივნისს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში ბულგარეთის, იუგოსლავიის, საბერძნეთის, იტალიის, თურქეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის ელჩებს, აგრეთვე ალბანეთისა და რუმინეთის საქმეთა რწმუნებულებს შესაბამისი მთავრობებისათვის გადასაცემად გადაეცათ საბჭოთა მთავრობის განცხადება ბალკანეთისა და ადრიატიკის რაიონში მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის საკითხზე.

განცხადებაში ნათქვამია, რომ საბჭოთა მთავრობის მეთაურმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომელიც ხელმძღვანელობს ევროპის მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებით, შეიტანა წინადადება, რომ ბალკანეთში და ადრიატიკის რაიონში შეიქმნას ატომური და რაკეტული იარაღისაგან თავისუფალი ზონა. საბჭოთა მთავრობა ღრმა რწმენას გამოთქვამს, რომ ამ რაიონის ქვეყნების უარი — განალაგონ თავიანთ ტერიტორიებზე ატომური და რაკეტული ბაზები, შეესაბამება ამ ქვეყნების ხალხთა სასიცოცხლო ინტერესებს და დიდი წვლილი იქნებოდა ევროპის უშიშროების და მყიდრეობისა და მშვიდობის ზონად ბალკანეთისა და ადრიატიკის გადაქცევის საქმეში

განცხადებაში ხაზგასმულია, რომ ამ რაიონში ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, წარმოიშობა მშვიდობისა და უშიშროებისადმი უშუალო საფრთხე ომასთან დაკავშირებით, რომ თურქეთისა და იტალიის მთავრობები დათანხმდნენ თავიანთ ტერიტორიებზე განალაგონ ამერიკის ატომური და რაკეტული ბაზები და რომ საბერძნეთის მთავრობას განზრახული აქვს ატომურ პლაცდარმად გადააქციოს საბერძნეთი.

საბჭოთა მთავრობა აღნიშნავს რუმინეთის მთავრობის 6 ივნისის განცხადებას, რომელშიც „ალბ“ წამოყენებულია წინადადება იმის შესახებ, რომ მოწვეულ იქნას ბალკანეთის ნახევარკუნძულის ქვეყნების მთავრობათა მეთაურების თათბირი იმ მომწიფებული საკითხების განსახილველად, რომლებიც ამ რაიონის სახელმწიფოებს ეხება.

სსრ კავშირის მთავრობა მიესალმება ალბანეთისა და ბულგარეთის მთავრობებისა და სახელმწიფო მოღვაწეების განცხადებებს, რომელნიც აქტიურად იბრძვიან იმისათვის, რომ ბალკანეთისა და ადრიატიკის რაიონში უატომო ზონა შეიქმნას.

სსრ კავშირის მთავრობა აღნიშნავს, რომ იუგოსლავიის მთავრობა აგრეთვე მხარს უჭერს წინადადებას იმის შესახებ, რომ უატომო ზონა შეიქმნას ბალკანეთსა და ადრიატიკის რაიონში.

განცხადებაში სინანულით არის აღნიშნული, რომ უატომო ზონის შექმნის გზაზე სერიოზული დაბრკოლებაა იტალიის, თურქეთისა და საბერძნეთის მთავრობათა პოზიცია. მოსალოდნელი იყო, ნათქვამია განცხადებაში, რომ ამ ქვეყნების მთავრობები ყურად იღებდნენ თავიანთი მეზობლებისა და თავიანთი ქვეყნების ხალხთა საღ ხმას და, სანამ ჯერ კიდევ გვიანი არ არის, დადასინჯავდნენ თავიანთ პოზიციას ამ საკითხში.

საბჭოთა მთავრობა აღნიშნავს, რომ უატომო ზონის შექმნა ბალკანეთში არ უნდა დაუკავშირდეს იმას, იქნებიან თუ არა ქვეყნები, რომლებიც ხელს მოაწერენ შეთანხმებას ამ ზონის შესახებ, ნატოს ან ვარშავის ხელშეკრულების წევრები.

სსრ კავშირის მთავრობა აცხადებს, რომ მზად არის სხვა დიდ სახელმწიფოებთან ერთად გახდეს ამ ზონის გარანტი. იგი მოუწოდებს ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებს ყოველი ღონისძიებით შეიწყონ ხელი იმას, რომ უატომო ზონა შეიქმნას ბალკანეთსა და ადრიატიკის რაიონში, აგრეთვე საბჭოთა კავშირთან ერთად უზრუნველყონ ამ ზონის მონაწილე ქვეყნების უშიშროება და დამოუკიდებლობა. (საკდესი).

სამწუხარო ნაპრალი

კარგა ხანია გავიდა გაზაფხული. ზაფხული მოულოდნელად არ შემოჭრილა, იგი ჩვეულებრივ მოვიდა და უკვე უკან მოვიტოვეთ მისი პირველი თვის 26 კალენდარული დღეც.

ყოველმა პრაქტიკოსმა კოლმეურნემ იცის ბუნების კალენდარის არა მარტო დანიშნულება, არამედ მისი მნიშვნელობაც. ხალხი ტყუილად როდი ამბობს, გაზაფხულის ერთი დღე მთელ წელიწადს კვებავსო.

მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც ამ ჭეშმარიტებას ანგარიშს არ უწევენ, არაფრად აგდებენ, ბოლოს კი მწარედ ნანობენ ხოლმე. ასეთი რამ მარტო ცხოვრებას ჩამორჩენილ ადამიანებს რომ ემართებოდეთ, შეიძლებოდა არაფერი გვთქვა. მაგრამ, სამწუხაროდ, ნებისთ თუ უნებლიეთ ასე გამოუდის ზოგიერთ ადგილობრივ ხელმძღვანელ მუშაკსაც. ამიტომ ღირს ამასთან დაკავშირებით ცოტა რამის აღნიშვნა.

ჩვენს წინ არის საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს ცნობა 1959 წლის 20 ივნისისათვის საქართველოს სსრ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობის შესახებ. პირველი ფურცელი გვამცნობს, რომ რესპუბლიკაში საგაზაფხულო კულტურები სულ დათესილია 420.011 ჰექტარი, ანუ გეგმის 99,9 პროცენტი, და შორის მთლიანად შესრულებულია (ცალკეულ კულტურებში გადაჭარბებითაც) ხორბლის, სამარცვლე სიმინდის, მზესუმზირას, შაქრის ჭარხლის, ერთწლიანი ბალახების თესვის გეგმები. მაგრამ სხვა კულტურების მხრივ რა მდგომარეობაა? საგაზაფხულო კულტურების თესვის თუ რგვის ყველა აგროტექნიკური ვადა დიდი ხანია გასულია, ხოლო მთლიანად არ არის შესრულებული თამბაქოს, ეთერზეთოვანი კულტურების, კარტოფილის, ბოსტნეულისა და ზოგიერთი სხვა კულტურის თესვის გეგმები.

იმათ შესახებ, ვინც უდარდელად ეკიდება აღებულ ვალდებულებათა შესრულებას

★

ვინ არის, საგაზაფხულო კულტურების თესვის დავალებათა შესრულებაში რესპუბლიკას ჩრდილი რომ მიაყენა და უკან დახსნა? ღირს თუ არა ამ რაიონებზე ითქვას რამე? ჩვენი აზრით, აქ დასამალავი არაფერია, დაე საქართველოს ყველა მშრომელმა იცოდეს ვინ არიან ისინი, ვინც უარყოფით გავლენას ახდენს მთელი რესპუბლიკის გეგმებზე.

ავიღოთ სიმინდი სამარცვლედ. თუმცა **რესპუბლიკური გეგმა 100,6** პროცენტით შესრულდა, მაგრამ ეს მხოლოდ მოწინავე რაიონების ხარჯზე. მთელმა რიგმა რაიონებმა ვერ შეასრულეს სამარცვლე სიმინდის თესვის დავალებანი. ამ საქმეში ჩამორჩენენ **ხაშურის** (გეგმა შეასრულა მხოლოდ 95,5 პროცენტით), **დუშეთის** (96,1) რაიონები, **სამხრეთ ოსეთის** ავტონომიური ოლქი (96,8) და **აფხაზეთის** ასს რესპუბლიკა (გეგმა შეასრულა მხოლოდ 94,2 პროცენტით). აფხაზეთის რაიონებს 20 ივნისისათვის კიდევ დასათესი ჰქონდათ 1.382 ჰექტარი სამარცვლე სიმინდი.

მაგრამ აფხაზეთის ასს რესპუბლიკა მარტო სიმინდის თესვაში როდი ჩამორჩა. მაშინ როცა საქართველოს **მეთამბაქოეობის** ყველა რაიონმა ვადაზე შეასრულა თამბა

შელახული ავტორიტეტი

პარტიულ თემაზე

იმ ადგილს, სადაც დაწყებულია ტექნიკის შესანახავი ფარდულის მშენებლობა, „ნაფუზრების“ მიწების თავს ეძახიან სოფელ ზემო ოსიაურში. დაუმთავრებელი, გადაუხურავი ფარდულის ქვეშ და მის წინ უწესრიგოდ ყრია კოლმეურნეობის მანქანა-იარაღები. ფარდულის უკანა მხარეს რამდენიმე საყრდენი ბოძი მორყეულია. ჩანს, ფარდულის აგება კარგა ხნის დაწყებულია. სწორედ აქ ვნახეთ საკოლმეურნეო პარტორგანიზაციის მდივანი არტემ ტუსიაშვილი.

— ძლიერ გაგჭიანურებიათ ფარდულის მშენებლობა?

— აბა რა გითხრათ, — მოგვიგო პარტორგანიზაციის მდივანმა; — ბიუროს სხდომებსა თუ პარტიულ კრებებზე არაერთხელ განვიხილეთ ეს საკითხი, მაგრამ გამგეობას მიზეზები არ დაელია!.. ხან ხე-ტყის მასალა არ გვაქვსო, ხან შიფერიო, ხან ვთესავთო, ხან ეხნავთო. ერთი სიტყვით, ხან ესა და ხან ის.

გზიდან „კდპ-35“ მარკის კულტივატორგამობმულმა ტრაქტორმა გადმოუხვია და შორიახლო შეჩერდა.

სიტყვა კულტივაციაზე ჩამოვარდა.

— კულტივაციაში ჩამოვრჩით, — ამბობს პარტბიუროს მდივანი. — წელს განზრახული გვქონდა კვადრატულ-ბუდობრივად დაგვთესა შაქრის ჭარხალი ათ ჰექტარზე, მაგრამ განზრახვა შეუსრულებელი დარჩა. დღესდღეობით ამ წესით თესვისათვის საჭირო სპეციალური მანქანა არ გაგვაჩნია. კვადრატულ-ბუდობრივად თესვა კი ერთისამად აადვილებს ნათესის დამუშავებას. ეჰ, ჭარხალს ვინ ჩივის, სიმინდიც ვერ დავთესეთ კვადრატულ-ბუდობრივად. ამაში კი ჩვენც მიგვიძღვის ბრალი... ახალ მანქანას ველოდით, ძველი მანქანით თესვას მოვერიდეთ, რადგან მით თესვა შედარებით რთულია.

პარტიული ორგანიზაცია კი ყოველივე ამას გულგრილად უცქერის. როცა პარტბიუროს მდივანს ვკითხეთ, რას აკეთებდა პარტიული ორგანიზაცია არსებულ ნაკლოვანებათა დასაძლევ ად, მდივანს პასუხი გაუძნელდა.

* * *

კოლმეურნეობაში მოუწესრიგებელია შრომის ორგანიზაცია, დაბალია დისციპლინა, რაც იწვევს ცალკეული სამუშაოების ავროტექნიკის დარღვევით შესრულებას, მოსავლიანობის შემცირებას. პარტიული ორგანიზაცია სწორად მოიქცა. ახალი სამეურნეო წლის დასაწყისშივე შრომის ორგანიზაციის საკითხებისადმი ყურადღება რომ გაეძლიერა. ეს პარტიული კრების მსჯელობის საგანი იყო, მაგრამ კრების შემდეგ მუშაობაში გარდატეხა არ მომხდარა.

ეს იმან გამოიწვია, რომ კრება მოუმზადებელი იყო. დღის წესრიგში საკითხი ასე იდგა: „კოლმეურნეობაში შრომის ორგანიზაციის ჩაშლის შესახებ (!)“. არც მომხსენებელს — პარტბიუროს მდივანს ა. ტუსიაშვილს და არც კამათში გამოსულებს (თ. ბუხრიკიძე, ო. ტუსიაშვილი — ბრიგადირები, დ. ბოლოკაძე — კოლმეურნეობის თავმჯდომარე) მწვავედ არ გაუკრიტიკებიათ ისინი, ვინც თავს არიდებს საკოლმეურნეო შრომას, აგრეთვე ისიც, ვისაც ბრალი მიუძღვის შრომის ორგანიზაციის მოდუნებაში. გამოსულთა სიტყვებში დასახელებული არ ყოფილა არც ერთი კონკრეტული ფაქტი.

პარტიული ორგანიზაციის ბიურო კოლმეურნეობაში სუსტად ეწევა ცოცხალ, ორგანიზატორულ მუშაობას მასების დასარაზმავად. კოლმეურნეები კ. ლაცაბიძე, ქ. ურიათმყოფელი, ა. ლაცაბიძე ჩამორჩნენ ჭარხლის პლანტაციის დამუშავებაში, ხოლო ნ. ბუხრიკიძე, ს. ლაცაბიძე, კ. ხაბელაშვილი, ო. მეტივიშვილი, ვ. ტუსიაშვილი, მ. ხაბელაშვილი, ტ. კორკოტაძე და სხვები თავს არიდებენ საკოლმეურნეო შრომას.

* * *

მაისის მიწურული იყო. „აზარმის მიწებში“ კოლმეურნეობის მეორე ბრიგადა ვენახს აშენებდა. აქ კომუნისტ ვასილ გაგლოშვილს შევხვდით.

— ვენახის გაშენება ცოტა არ იყოს დაგვიანდა, — გვითხრა გაგლოშვილმა, — დღეს როგორც იქნება დავამთავრებთ. მე კი ის მინდოდა მეთქვა, რომ მარტო შრომა არ კმარა, გვაინტერესებს ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობა, დიადი შვიდწლიანი გეგმის შესრულების მაჩვენებლები. მაგრამ ორი თვეა არ მომისმენია აგიტატორის სიტყვა.

— რას ამბობ, ვასო, იქნებ შენ არ ესწრები ხოლმე საუბრებს,— შეუტია მას პარტბიუროს მდივანმა, შემდეგ კი ჩვენს გასაგონად თქვა:

— ამ ბრიგადაში თამარ მახარაშვილია აგიტატორი, კარგად მუშაობს.

— აქ არის ახლა?

— აი ის არის.

გამოველაპარაკეთ. მდივანმა დაგვასწრო თქმა:

— მუშაობას გიწუნებენ, თამარ!

— რატომ, განა ცუდად ვრგავ ვაზს!?

— არა, შენ ხომ აგიტატორი ხარ!

— აგიტატორი!? ორი თვეც იქნება აღარა ვარ.

პარტბიუროს მდივანს აღარაფერი უთქვამს.

* * *

ზემოოსიაურელ კოლმეურნეებს ნაკისრი აქვთ სოციალისტური ვალდებულება, რომლის მუხლები ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ზრდასა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის მნიშვნელოვან გადიდებას.

წინასწარ ჯერ კიდევ ძნელია იმის თქმა, შეასრულებენ თუ არა ოსიაურელები ნაკისრ ვალდებულებებს. მაგრამ ერთი კი ცხადია: კოლმეურნეობაში არ არის გაჩაღებული ენერგიული შრომა ვალდებულებათა გასანაღდებლად. ზრდის ნაცვლად წველადობამ იკლო. პირველი ივნისისათვის თვითეულ საფურაქე ძროხაზე მიღებული იყო მხოლოდ 346 კილოგრამი რძე, ანუ 86 კილოგრამით ნაკლები შარშანდელ ამავე პერიოდთან შედარებით. კარგად აღმოცენდა და განვითარდა სიმინდი, შაქრის ჭარხალი, მაგრამ ჩამორჩა მათი დამუშავება. ზოგან სიმინდს სარეველა ბალახმა გადაუარა. შეიქმნა მოსავლიანობის შემცირების საშიშროება.

სოციალისტურ შეჯიბრებას სუსტად ხელმძღვანელობს საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია. აქ პარტიულ კრებებსა და ბიუროს სხდომებზე იშვიათად განიხილავენ შეჯიბრების მიმდინარეობას.

* * *

ა. ტუსიაშვილი ახლად არჩეული მდივანია. ბუნებრივია, რომ დაუხმარებლად ვერ შეძლებდა ყველაფრის გაკეთებას. მას კი სათანადოდ არ ეხმარებიან. პარტიის ხაშურის რაიკომის ინსტრუქტორი ა. ცინაძე ხშირად არის ამ კოლმეურნეობაში, მაგრამ იგი დასამახსოვრებელს, საქმიანს ვერაფერს ურჩევს პარტბიუროს მდივანს.

ამას ემატება ისიც, რომ ა. ტუსიაშვილს შელახული აქვს ავტორიტეტი.

ეს იყო შარშან, ნოემბერში. ა. ტუსიაშვილი შეუთანხმდა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს დ. ბოლოკაძეს და ფერმიდან ჯიშიანი დეკეული წაიყვანა სახლში, ხოლო მის ნაცვლად მოიყვანა საკუთარი მოზვერი, რომლის წონა 40 კილოგრამით ნაკლები იყო დეკეულისაზე.

ეს ფაქტი არ დაიმალა, გახმიანდა. კოლმეურნეობაში მითქმა-მოთქმა რომ დაიწყო, ა. ტუსიაშვილი იძულებული გახდა უკან დაებრუნებინა დეკეული. ბუნებრივია ამან დიდად შეულახა მას ავტორიტეტი.

ხაშურის რაიონში საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციებში ცხრა ახლად არჩეული მდივანი მუშაობს. თუ როგორ ეხმარება ახლად არჩეულ მდივნებს პარტიის ხაშურის რაიკომი, ეს მკაფიოდ ჩანს ზემო ოსიაურის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მაგალითით.

მ. ხეთაგური,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ტურისტული ლაშქრობის წინ

ფოტოტიუდი დ. იაკობაშვილისა.

გამოჩენილი მეცნიერი

სამოცი წელი შეუსრულდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს პროფესორ შალვა ამირანაშვილს. გამოჩენილ ქართველ მეცნიერს დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული საბვითი ხელოვნების მრავალსაუკუნოვანი ისტორიის შესწავლაში. იგი ქართული საბჭოთა ხელოვნებათმცოდნეობის ერთ-ერთი ფუძემდებელი და უთვალსაჩინოესი წარმომადგენელია. მან პირველმა სცადა მოეცა ქართული ხელოვნების განვითარების მთელი პროცესის მარქსისტული ანალიზი, რომელშიც ორგანულად შერწყმულია ურთიერთთან ჭეშმარიტი მეცნიერული ძიება, მაღალი გემოვნება და გულახთილული სიყვარული შობლიური ეროვნული კულტურისადმი.

შ. ამირანაშვილმა საშუალო განათლება მიიღო ქ. ფოთის გიმნაზიაში, ხოლო 1918 წელს შევიდა თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის ხელოვნების თეორიისა და ისტორიის განყოფილებაზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1922 წელს. იგი უნივერსიტეტში განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს ძველი ქართული ხელოვნებისა და მატერიალური კულტურის ძეგლების უშუალოდ შესწავლისადმი, სისტემატურად მოგზაურობს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. არსებითად აქ იწყება შ. ამირანაშვილი სამეცნიერო მოღვაწეობას, რაც კიდევ უფრო ღრმა და ჩამოყალიბებულ სახეს იღებს ასპირანტურის კურსის გავლის პერიოდში.

1929 წელს შ. ამირანაშვილი ქართულ და რუსულ ენებზე, ხოლო უფრო გვიან ფრანგულ ენაზე აქვეყნებს თავის პირველ კაპიტალურ ნაშრომს „უბისი. მასალები ქართული ციდლის მხატვრობის ისტორიისათვის“. ამ ცნობილ ნაშრომში, მთელი რიგი მნიშვნელოვანი პრობლემების გაშუქებასთან ერთად, ნათელყოფილია ქართული ფრესკული მხატვრობის დიდმნიშვნელოვანი მხატვრულ - ისტორიული ღირსება და განვითარების თვითმყოფობა, საკუთარი, ეროვნული გზა. ეს გამოკვლევა წარმოადგენდა სადისერტაციო ნაშრომს, რომლის საფუძველზე ახალგაზრდა მკვლევარს ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის ხარისხი მიენიჭა.

ძველი ქართული მხატვრობის შესახებ შ. ამირანაშვილს სხვა ნარკვევებიც აქვს გამოქვეყნებული. მათ საფუძველზე იგი ქმნის „ქართული მონუმენტური მხატვრობის ისტორიას“, რომლის პირველი ტომი 1957 წელს გამოვიდა რუსულ ენაზე.

გამსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს შ. ამირანაშვილის შრომები წინაქრისტიანული (უძველესი) ქართული ხელოვნებისა და ძველი ქართული საერო ხელოვნების შესახებ. ეს შრომები დიდად აფასოებს ქართული მხატვრული კულტურის შესწავლის პრობლემატიკას და პრინციპულად ახალი დებულებებით ამდიდრებს მას. დიდია შ. ამირანაშვილის დამსახურება ქართული ოქრომჭედლობისა და ხუროთმოძღვრების შესწავლის დარგში. მის საკმაოდ მრავალრიცხოვან გამოკვლევებში საკვლევად ან პირველად არის გაშუქებული ქართული არქიტექტურის, მხატვრობის, ოქრომჭედლობისა და ქანდაკების მთელი რიგი ძეგლები. ამ მხრივ აღსანიშნავია მონოგრაფია „ბექა ოპიზარი“ (გამოცემულია ქართულ და რუსულ ენებზე), ნარკვევები არმაზის ეკლესიის ფინჯნების და ორიალეთის ვერცხლის თასის შესახებ, „ვეფხისტყაოსანი“ და ძველი ქართული ხელოვნება“, „ქართული საერო მხატვრობის გენეზისისათვის“ და სხვ.

1944 წელს შ. ამირანაშვილმა გამოაქვეყნა „ქართული ხელოვნების ისტორიის“ პირველი ტომი, რომელშიც მოცემულია ქართული ხელოვნების განვითარების სრული მიმოხილვა მეშვიდე საუკუნის მეორე ნახევრამდე. ექვსი წლის შემდეგ რუსულ ენაზე გამოიცა იმავე სახელწოდების შრომის პირველი ტომი. ამ ნარკვევში წარმოდგენილია უძველესი და ძველი ქართული ხელოვნების ანალიზი. ამჟამად იგივე შრომა გამოსაცემად მზადდება უფრო გაფართოებული სახით: მასში შეტანილია ახალი ქართული ხელოვნების ისტორიაც (მეორე ტომში კი შევა ქართული საბჭოთა ხელოვნების განვითარების ანალიზი). შ. ამირანაშვილის ამ შრომების ერთ-ერთი ძირითადი ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ აქ ქართული ხელოვნების განვითარების განხილვა არ ეყარება ევროპულ ხელოვნებათმცოდნეობაში შემუშავებულ სქემებსა და ცნებებს. მკვლევარი ყოველთვის ეროვნულ ნიადაგს ეყრდნობა და ცდილობს ქართული სახვითი მხატვრული კულტურის თავისებურება და მხატვრული მნიშვნელობა ბუნებრივი, ძალდაუტანებელი ფერებით დახატოს. ამავე დროს შ. ამირანაშვილის მრავალრიცხოვანი ნარკვევები საგსებით ნათელყოფენ ქართული ხელოვნების განვითარების თვითმყოფ ხასიათსა და მსოფლიო მნიშვნელობას.

ძველი ქართული მხატვრობის ისტორიის პრობლემატიკაზე მუშაობისას შ. ამირანაშვილის ყურადღება მიიქცია ირანულმა მხატვრობამ. მეცნიერი ამ უკანასკნელის შესახებაც აქვეყნებს რამდენიმე უაღრესად საყურადღებო ნარკვევს, რომელთა შორის პირველ რიგში უნდა აღინიშნოს 1941 წელს გამოცემული „ირანული დიზაინი ბუნებრივ მხატვრობაზე“ და „ირანული მხატვრობა XVIII-XIX სს.“

შ. ამირანაშვილს დიდი მუშაობა აქვს გაწეული ქართული კულტურის ძეგლთა შეგროვების, აღწერისა და დაცვის დარგში. განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა ის ღვაწლი, რომელიც მას მიუძღვის საქართველოს სსრ ხელოვნების მუზეუმის კოლექციებით გამდიდრებასა და ექსპოზიციის მოწყობაში.



შ. ამირანაშვილი.

* * *

შ. ამირანაშვილი არაერთი მეცნიერი მუშაკი ჰყავს აღზრდილი. ისინი ამჟამად ცნობილი ხელოვნებათმცოდნეები ან საუმუზეუმო საქმის წამყვანი სპეციალისტები არიან.

განსაკუთრებით საყურადღებოა შ. ამირანაშვილის პედაგოგიური მოღვაწეობაც. 1922-დან 1953 წლამდე იგი განუწყვეტლივ მუშაობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში, სადაც დიდი მზრუნველობით ზრდიდა ჩვენი ხელოვნების ოსტატთა თაობებს. მკვლეგარი წლების განმავლობაში მუშაობს თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

შ. ამირანაშვილი სხვადასხვა დროს იყო ხელოვნების საქმეთა სამმართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის განყოფილების უფროსი და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი.

1943 წელს შ. ამირანაშვილი არჩეულ იქნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1955 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად. 1957 წელს მას ირჩევენ სსრ კავშირის მუზეუმების ეროვნული კომიტეტისა და მუზეუმების საერთაშორისო საბჭოს ნამდვილ წევრად. იგი დაჯილდოებულია ლენინის, შრომის წითელი დროშის და „სპატიო ნიშნის“ ორდენებით. დაბადებიდან 60 წლისა და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 40 წლისთავთან დაკავშირებით მას მიენიჭა საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

ვუსურვოთ ჩვენს ღვაწლმოსილ იუბილარს ხანგრძლივი სიცოცხლე და კვლავ წარმატებით მოღვაწეობა ჩვენი მეცნიერებისა და ხელოვნების საკეთილდღეოდ.

მ. დუდუჩავა.

წერილების კვალდაკვალ

გორის რაიონის სოფელ ქვეშის კოლმეურნეობაში არ სრულდება სასოფლო-სამეურნეო კულტურების დამუშავების გეგმები, თვით სოფელი კეთილმოუწყობელია, ცუდი გზების გამო სოფელში ავტობუსი აღარ დადის, — გვწერდა კოლმეურნე ვ. ჩიტუნაშვილი.

პარტიის გორის რაიკომი, რომელსაც წერილი ზომების მისაღებად გაეგზავნა, გვატყობინებს, რომ რაიკომის ბიურომ იმსჯელა წერილში აღნიშნულ ნაკლოვანებათა შესახებ და დასახა მათი გამოსწორებისათვის საჭირო ღონისძიებანი.



პირველი მსოფლიოში

ხუთი წლის წინათ საბჭოთა კავშირში ამუშავდა 5 ათასი კილოვატის სიმძლავრის მსოფლიოში პირველი ატომის ელექტროსადგური. ამით კაცობრიობის ისტორიაში დასაბამი მიეცა იმ კოლოსალური ენერგიის სამრეველო მასშტაბით გამოყენებას, რომელსაც შეიცავს ატომის ბირთვი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის გადწყვეტილებით მომდინარე შვიდწლეულში გათვალისწინებულია ჩვენს ქვეყანაში კიდევ რამდენიმე ატომის ელექტროსადგურის აშენება.

ატომის ელექტროსადგურების შენებლობაში თავის გამოხატულებას პოულობს საბჭოთა კავშირის მშვიდობიანი მისწრაფებები, მისი თანმიმდევრული ბრძოლა ადამიანთა მასობრივი მოსპობის იარაღის ატომური და წყალბადის ბომბების გამოყენების წინააღმდეგ.

ჩვენი სპეციალისტები ხალისით უზიარებენ სხვადასხვა ქვეყნების ატომური მრეწველობის მუშაკებს საბჭოთა კავშირის მიღწევებსა და გამოცდილებას ატომური ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენების დარგში, უანგარო დახმარებას უწევენ სოციალისტური ბანაკის ხალხებს ატომური ტექნიკის განვითარების საქმეში.

ატომური და ბირთვული ფიზიკის დარგში მეცნიერული კვლევის ფართოდ გაშლისა და ატომური ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენების შემდგომი განვითარების დარგში დიდ როლს ასრულებს საბჭოთა კავშირის ინიციატივით შექმნილი ატომური კვლევის გაერთიანებული ინსტიტუტი, რომლის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ სოციალისტური ბანაკის ქვეყნების გამოჩენილი მეცნიერებიც.

ატომის ელექტროსადგურის გასაცნობად საზღვარგარეთიდან საბჭოთა კავშირში ჩამოდიან უამრავი სტუმრები. ისინი არ მალავენ თავიანთ განცვიფრებას ჩვენი მეცნიერების, ინჟინრების, კონსტრუქტორების ბრწყინვალე ჩანაფიქრის გამო, რომელმაც უზრუნველყო მსოფლიოში პირველი ატომის ელექტროსადგურების წარმატებით აშენება, მისი შეუფერებელი მუშაობა.

ატომური ენერგეტიკის პირმშოს — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ატომის ელექტროსადგურის ხუთი წლის მუშაობის გამოცდილებამ ცხადყო მისი მთელი რიგი უპირატესობანი. ამ ხნის განმავლობაში სულ დაიხარჯა მხოლოდ რამდენიმე კილოგრამი ურანი, მაშინ როცა ასეთივე სიმძლავრის ჩვეულებრივი თბოელექტროსადგურების მუშაობა მოითხოვს ასობით ტონა ქვანახშირს, არ ყოფილა არც ერთი ავარია, მთელი აპარატურა სავსებით საიმედო აღმოჩნდა.

რას წარმოადგენს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პირველი ატომის ელექტროსადგური? ატომის ელექტროსადგური ჩვეულებრივი ქვანახშირის ელექტროსადგურისაგან არსებითად მხოლოდ იმით გამოირჩევა, რომ აქ სითბოს ვიღებთ არა სათბობის წვის ხარჯზე, არამედ ურანის ბირთვის გახლეჩის შედეგად. მისი ყველა დანარჩენი მოწყობილობა—ორთქლის ტურბინები, კონდენსატორები, ელექტროგენერატორები — მთლიანად გადმოღებულია ჩვეულებრივი ქვანახშირის ელექტროსადგურებიდან. მაგრამ ატომის ელექტროსადგური სულ უფრო ვითარდება და თავისი აგებულებით შორდება ჩვეულებრივ ელექტროსადგურს.

თანმიმდევრივ ატომის ელექტროსადგურის სასარგებლო მოქმედების კოეფიციენტი შეადგენს დაახლოებით 17 პროცენტს. ენერგეტიკოსები ოცნებობენ იმაზე, თუ როდის იქნება აღმოჩენილი ხლეჩადი ატომის ენერგიის უშუალოდ გარდაქმნა ელექტროენერგიად, რაც მკვეთრად გაზრდის სადგურის სასარგებლო მოქმედების კოეფიციენტს.

ტონა ქვანახშირს, არ ყოფილა არც ერთი ავარია, მთელი აპარატურა სავსებით საიმედო აღმოჩნდა.

ატომური ენერგეტიკის ამჟამინდელ ეტაპზე ატომის ელექტროსადგურის ერთ-ერთი მთავარი უპირატესობა ის არის, რომ ატომურ „საწვავში“ — ბუნებრივ და ხელოვნურ ურანში ენერგია კონცენტრირებულია დიდი რაოდენობით. მაგალითად, ურანის მცირე, ასანთის კოლოფის ოდენა ნაჭერს შეუძლია მოგვაცეს იმდენი ენერგია, რამდენიც 3 მილიონ კუბურ მეტრ საწვავ გაზს ან 2.400 კუბურ მეტრ ქვანახშირს, ან კიდევ 1.400 კუბურ მეტრ ნავთს.

მძლავრ ელექტროსადგურებში, სადაც საწვავად ორგანული სათბობს იყენებენ, ელექტროენერგიის გამომუშავება წარმოებს სპეციალურ გენერატორებში, რომლებიც მოძრაობაში მოჰყავს ორთქლის ტურბინებს. საწვავის ხარჯზე მიღებული ტურბინების მექანიკური ენერგია გენერატორში გარდაქმნება ელექტროენერგიად. წვის დროს გამოყოფილ სითბოს ვიყენებთ დიდ წნევაში მყოფი წყლის ორთქლის მისაღებად; ორთქლი მიემართება ტურბინაში, ფართოვდება, მოძრაობაში მოჰყავს როტორი და აბრუნებს ელექტრულ გენერატორს.

ჩვეულებრივი თბოელექტროსადგურების მსგავსად, ატომური ელექტროსადგურის რეაქტორში ატომბირთვების გამოყოფის პროცესის შედეგად გამოყოფილ სითბოს იყენებენ წყლის ასორთქლებლად, რაც საჭიროა ორთქლის ტურბინის როტორისა და ელექტროგენერატორის ბრუნვით მოძრაობაში მოსაყვანად, ელექტროენერგიის გამოსამუშავებლად.

ბირთვულ რეაქტორში სპეციალური მილებით უშვებენ წყალს, რომელსაც აცხელებენ 300 გრადუსამდე. ურან 235-ის გაყოფის დროს მიღებული სითბოთი წყალი რომ არ ადუღდეს, წნევას ადიდებენ 100 ატმოსფერომდე. ცხელი წყალი რეაქტორიდან მიედინება ორთქლის გენერატორში, ადუღებს და ორთქლად აქცევს იქ მოთავსებულ წყალს. ეს ორთქლი აბრუნებს ტურბინს, რომელსაც თავის მხრივ მოძრაობაში მოჰყავს ელექტრული დენის გენერატორი, სადაც ხდება ელექტროენერგიის გამომუშავება.

გადამუშავებული ორთქლი გადაჰყავთ მაცივარში, სადაც იგი ცივდება და წყლად იქცევა. შემდეგ წყალს გადატუმბავენ თბოგადამცემში, ადუღებენ და კვლავ ორთქლად აქცევენ. გაცივებულ წყალს თბოგადამცემიდან უკან აბრუნებენ რეაქტორში, აქ იგი ხელახლა ცხელდება მაღალ ტემპერატურამდე. ამრიგად, ახორციელებენ წყლის ორ წრებრუნვას. მეორე წრებრუნვის დროს მიღებული სითბო გადაიქცევა მექანიკურ მოძრაობად და ელექტროენერგიად.

ბირთვული რეაქტორი განსაკუთრებულ ნაგებობას წარმოადგენს. აქ არაფერი არ იწვის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, რეაქტორში წყალი კვირაობით და თვეობით ღუღს და გამოჰყოფს უდიდეს ენერგიას.

მიმდინარე წვიდწლეულში ახალი ატომური ელექტროსადგურების ამოშავება მნიშვნელოვნად გაზრდის ჩვენი ქვეყნის ენერგეტიკულ ბალანსს. ატომური ენერგეტიკის განვითარებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ექნება იმ რაიონებისათვის, სადაც სრულებით არ მოიპოვება ან ძალიან მცირეა ენერგიის სხვა წყაროები, როგორიც არის, მაგალითად, ქვანახშირი, თეთრი ნახშირი, ტორფი, ნავთობი და სხვ.

ატომური და ბირთვული ფიზიკის სწრაფმა განვითარებამ ხელი შეუწყო ისეთი ატომური „საწვავის“ აღმოჩენას, რომელშიც ხორციელდება არა მძიმე ელემენტების ბირთვების გახლეჩა, არამედ, პირიქით, ხდება წყალბადის მსუბუქი ბირთვებისაგან ჰელიუმის უფრო მძიმე ბირთვების სინთეზი, რომლის დროს გამოიყოფა გაცილებით მეტი ენერგია, ვიდრე ურანის ბირთვის გახლეჩისას. ასეთი ატომური რეაქცია შეიძლება განხორციელდეს მეტად მაღალი ტემპერატურის პირობებში (მილიონი და ათეული მილიონი გრადუსი). მაგრამ ამათი ნებისმიერი მართვა და მშვიდობიანი მიზნით გამოყენება ჯერჯერობით არ ხერხდება. თუმცა გამორიცხული არ არის, რომ ეს პრობლემაც წარმატებით იქნება გადაწყვეტილი.

პირველი ატომის ელექტროსადგურის მუშაობის ხუთი წლის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ თუმცა ამ სადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ღირებულება ჯერჯერობით უფრო მაღალია, ვიდრე ჩვეულებრივი ელექტროსადგურებისაგან მიღებული ელექტროენერგიის ღირებულება, მაგრამ ატომის ელექტროსადგურების სიმძლავრის შემდგომ გადიდება შესაძლებელს გახდის ამ ხარჯების შემცირებას და საგსებით აღმოფხვრას.

ატომის ელექტროსადგურს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აქვს მთელი რიგი უპირატესობანი. იგი გაცილებით კომპაქტურია — შეიძლება ვაშენოთ ქვანახშირისა და სხვა საწვავის, მდინარეებისა და რკინიგზებისაგან დაშორებულ ადგილებზე და სხვ. ამის გამო ასეთი ელექტროსადგურების მშენებლობა ახლაც კი, როცა მათ მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია შედარებით ძვირია, მაინც მიზანშეწონილია და დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს.

კაცობრიობის ისტორიამ იცის ბევრი აღმოჩენა, რომელმაც ახალი ერა შექმნა საწარმოო ძალთა განვითარებაში, კეთილმყოფელი გავლენა მოახდინა მეცნიერებისა და ტექნიკის, ცოდნის ყველა დარგის პროგრესზე. მათ შორის ერთ-ერთ ყველაზე ბრწყინვალე აღმოჩენას წარმოადგენს ატომური ენერგიის მიღებისა და გამოყენების პრობლემების გადაწყვეტა. ატომური ენერგიის გამოყენება უსაზღვროდ აფართოებს ადამიანის ბატონობას ბუნების სტიქიურ ძალებზე. ქმნის უაღრესად დიდ შესაძლებლობებს ეკონომიკისა და კულტურის მძლავრი აღმავლობისათვის, საზოგადოებრივი სიმდიდრის მკვეთრი გადიდებისათვის.

ჩვენი ქვეყნის მძლავრმა ეკონომიურმა და კულტურულმა აღმავლობამ, მეცნიერებისა და ტექნიკის უმაგალითო პროგრესმა, კვლევითი სამუშაოების ფართოდ გაჩაღებამ ხელი შეუწყო იმას, რომ მოკლე ვადაში გადაგვეწყვიტა ატომური ენერგიის მიღებისა და გამოყენების საკითხი, შეგვიქმნა მძლავრი ატომური მრეწველობა.

საბჭოთა კავშირი, რომელიც ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის პოლიტიკის ერთგულია, თანმიმდევრულად იბრძვის ატომის ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენებისათვის, ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვისათვის, ის უდიდეს შესაძლებლობათა ადამიანის სამსახურში ჩაყენებისათვის, რომლებსაც ატომის ბირთვი შეიცავს.

დოცენტი ტ. გუნჯუა,

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფიზიკის კათედრის გამგე.

* * *

სურათზე: სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ატომური ელექტროსადგურის მართვის ცენტრალური პულტი.

მეცნიერება და ტექნიკა

ავტომატური კომბინეზონი

როგორ შევაკეთოთ ღუმელი, სადაც ალი ბობოქრობს და ლითონი დნება? სწორედ რემონტის მუშაკთა შრომის შესამსუბუქებლად შეიქმნა ახლა რამდენადმე არაჩვეულებრივი ტანსაცმელი — ეგრეთწოდებული პნევმატური კომბინეზონი. იგი ორფაა, მისი გარეთა ფენა მზადდება შეუღწევად — ოუალებადი ქსოვილისაგან, შიდა ფენა კი თხელი ნარმისაგან. ამ კოსტიუმს მსუბუქ საცვლებზე იცვამენ. კომბინეზონში ჩაკერებულია მილაკებისაგან შემდგარი განმანაწილებელი. ამ მილაკებით კომბინეზონის ფენებს შუა სივრცეში განუწყვეტლივ უბერავენ ცივ ჰაერს. ახალი დამცავი ტანსაცმელი მნიშვნელოვნად ამსუბუქებს რემონტზე მომუშავეთა შრომის პირობებს, უზრუნველყოფს მათი სხეულის ნორმალურ ტემპერატურას და სუნთქვის სიხშირეს.

* * *

ჩვეულებრივზე ერთიოდრად უფრო მკვიდრი

ცნობილია, რომ ავტომობილის საბურავები გაცვეთის გამო 50-60 ათასი კილომეტრის შემდეგ უნდა გამოიცვალოს, ხოლო ზოგჯერ უფრო ადრეც.

მრავალი ექსპერიმენტის შემდეგ საბჭოთა მეცნიერებმა — სალტის მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თანამშრომლებმა პროფესორმა დოგადკინმა და ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა ტარასოვმა შეძლეს დაემზადებინათ საბურავის ახალი რეზინი, რომლის გამოყენებისას საბურავს 60 ათასი კილომეტრის შემდეგ კვლავ ისეთი სახე აქვს, როგორც ახალს.

დოგადკინის და ტარასოვის მიერ წამოყენებული მეთოდი მეტად მარტივია: ნედლ რეზინს მოასხივებენ რადიაქტიური ატომების გამა-სხივებით. მოსხივებული რეზინისაგან დამზადებული საბურავები ჩვეულებრივზე ერთიოორად უფრო მკვიდრია.

ეს ნამდვილი მეგობრობის გამოხატულებაა

პოლონელები გაეცნობიან ქართულ კულტურას, ქართველები — პოლონურს...

პოლონელი ხალხისა და ქართველი ხალხის ტრადიციული კულტურული ურთიერთობის ისტორიაში კიდევ ერთი საინტერესო ფურცელი ჩაიწერება. ამ დღეებში თბილისში სტუმრად ჩამოსულმა პოლონეთის კულტურის მოღვაწეებმა — პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კულტურისა და ხელოვნების სამინისტროს კოლეგიის წევრმა, თეატრების დეპარტამენტის დირექტორმა — ეჟი იასენსკიმ, საზღვარგარეთთან კულტურული ურთიერთობის ბიუროს სახალხო დემოკრატიის ქვეყნების განყოფილების უფროსის მოადგილემ რომან ბორკოვსკიმ და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ხელმძღვანელმა მუშაკებმა ხილი მოაწერეს **პოლონელი ხალხისა და ქართველი ხალხის კულტურის დღეების** ჩატარების საკითხისადმი მიძღვნილ გაერთიანებული სხდომების ოქმს.

ქართული კულტურის დღეებში, რომელიც პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში გაიმართება მომდინარე წლის 28 სექტემბრიდან 4 ოქტომბრამდე, მოეწყობა ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების გამოფენა, ფოტოგამოფენა ქართული არქიტექტურის შესახებ; პოლონურ კინოკრანებზე დემონსტრირებული იქნება ქართული მხატვრული, დოკუმენტური და მულტიპლიკაციური კინოფილმები, კონცერტებით გამოვლენ საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი საქართველოს სსრ სახალხო არტისტის ნინო რამიშვილისა და საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის ილიკო სუხიშვილის მხატვრული ხელმძღვანელობით, ქართული ვოკალური ანსამბლი „შვიდაკაა“ და ქართველი ინდივიდუალური შემსრულებლები, კერძოდ ოპერისა და ბალეტის მსახიობები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ პოლონეთის თეატრების საოპერო და საბალეტო სპექტაკლებში.

იმ დღეებში პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში გაემგზავრება ქართული კულტურის მოღვაწეთა დელეგაცია, რომლის წევრები პოლონურ უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში გამოვლენ ლექციათ-მოხსენებებით ქართული მეცნიერებისა და კულტურის სხვადასხვა საკითხებზე. გარდა ამისა, პოლონურ რადიოსა და ტელევიზიაში ტრანსლაციისათვის თბილისიდან გაიგზავნება გრამოფონის ფირფიტები და მაგნეტოფონის ფირები, რომლებზეც ჩაწერილი იქნება ქართული მუსიკა; გაიგზავნება აგრეთვე ქართველ კომპოზიტორთა პოპულარული ნაწარმოებების პარტიტურები და ნოტები.

თავის მხრივ, პოლონური კულტურის დღეებში, რაც ჩვენს რესპუბლიკაში 19 ოქტომბრიდან 26 ოქტომბრამდე გაიმართება, თბილისელები გაეცნობიან პოლონური გამოყენებითი ხელოვნების გამოფენას, ფოტოგამოფენას პოლონური არქიტექტურის შესახებ, ახალ პოლონურ მხატვრულ, დოკუმენტურ და მულტიპლიკაციურ კინოფილმებს. პოლონური კულტურის დღეებში ჩვენში ჩამოვლენ: პოლონეთის კულტურის მოღვაწეთა დელეგაცია, ქალაქ გდანსკის საოპერო თეატრის საბალეტო კოლექტივი ან პოლონეთის ხალხური ცეკვის ანსამბლი პროფესორ ე. პაპლინსკის მხატვრული ხელმძღვანელობით, აგრეთვე მთელი რიგი პოლონელი ინდივიდუალური შემსრულებლები, კერძოდ პოლონელი მსახიობები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საოპერო სპექტაკლებში.

• • •

პოლონელი ხალხისა და ქართველი ხალხის კულტურის დღეებთან დაკავშირებული მოლაპარაკებების პარალელურად, პოლონელი სტუმრები თავისუფალ დროს ათვალიერებდნენ თბილისისა და ჩვენი რესპუბლიკის ღირსშესანიშნავ ისტორიულ ადგილებს, კერძოდ ნახეს ძველი ქართული არქიტექტურის უბრწყინვალესი ძეგლები — სვეტიცხოველი, ჯვარი, სამთავრო, გაისერინეს საქართველოს სამხედრო გზაზე, იყვნენ საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმსა და საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმში, დაესწრნენ ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის, რუსთაველისა და მარჯანიშვილის სახელობის დრამატული თეატრების სპექტაკლებს, ნახეს მთელი რიგი ახალი ქართული ფილმები. პოლონელ სტუმრებზე უდიდესი შთაბეჭდილება დასტოვა როგორც, უძველესმა ქართულმა არქიტექტურულმა ძეგლებმა, ისე თანამედროვე ქართულმა ფილმმა „სხვისმა შვილებმა“, გამოჩენილი ქართველი ქორეოგრაფის სსრ კავშირის სახალხო არტისტის ლენინური და სტალინური პრემიების ლაურეატის ვ. ჭაბუკიანის შთამაგონებელმა ცეკვამ ა. მაჭავარიანის ბალეტ „ოტელოში“.

ამ დღეებში პოლონელი სტუმრები სამშობლოში გაემგზავრნენ. 24 ივნისს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ მიიღო ეჟი იასენსკის მიერ გზიდან — ქ. მოსკოვიდან გამოგზავნილი დეპეშა, რომელშიც გკითხულობთ:

„პოლონეთის დელეგაციის სახელით კიდევ ერთხელ ღრმა მადლობას გიძღვნით იმ გულთბილი მეგობრული გრძნობებისათვის, რაც ჩვენდამი გამოიჩინეთ თბილისში ყოფნის დროს“.

დ. გველესიანი.

• • •

სურათზე: პოლონელი სტუმრები ულოცავენ ა. მაჭავარიანსა და ვ. ჭაბუკიანს შემოქმედებითს გამარჯვებას.

ეგოპეს იგავი...

თანამედროვეობა ხელოვნებაში, ამ სიტყვის ფართო გაგებით, სრულიადაც არ ნიშნავს სიუჟეტს. მაყურებელი ერთხელ კიდევ რწმუნდება ამ ძველთაძველ ჭეშმარიტებაში ლენინგრადის დიდი დრამატული თეატრის სპექტაკლის „მელასა და ყურძნის“ ნახვისას.

„მელა და ყურძენი“ თანამედროვე ბრაზილიელი დრამატურგის გილიერმე ფიგეირედოს ნაწარმოებია. ამ პიესამ თავის დროზე მრავალი თეატრის ყურადღება მიიქცია, მაგრამ ერთ-ერთი პირველი დადგმა მსოფლიოში მაინც ლენინგრადელებს ეკუთვნი. ჩვენთვის მეტად ახლობელია ის მოქალაქეობრივი მგზნებარება და თავგანწირვა თავისუფლებისათვის, რაც პიესის მთავარ დედააზრს წარმოადგენს.

პიესის მთავარი გმირია ბერძენი იგავთმწერალი ეზოპე, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე V საუკუნეში ცხოვრობდა. თუმცა შეიძლება ითქვას, რომ „მელა და ყურძენი“ უფრო იგავია, ვიდრე პიესა, და სწორედ ამ დიდ „მოქალაქეობრივ იგავურობაშია“ მისი მთავარი ღირსება. არც ის არის შემთხვევითი, რომ პიესას „მელა და ყურძენი“ ჰქვია, როგორც თვით ეზოპეს ერთ-ერთ მარადიულ იგავს.

ლენინგრადელთა პირველი სპექტაკლი

პიესის ამ იგავურ სტილს მიჰყვება სპექტაკლიც. სპექტაკლის დადგმა და მხატვრული გაფორმება ეკუთვნის რეჟისორ გიორგი ტოვსტონოგოვს. ფიგეირედოს პიესა იმ ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც ნაირნაირი რეჟისორული გადაწყვეტის საშუალებას იძლევიან. მაგრამ, ჩემი აზრით, გიორგი ტოვსტონოგოვმა ყველაზე სწორი — მწყობრი რეჟისორული კომპოზიცია მოუძებნა ამ გმირულსა და ამაღლებულ კომედიას. სპექტაკლის წარმატებას დიდად უწყობს ხელს ისიც, რომ რეჟისორულ ჩანაფიქრს შესაბამის გარემოს უქმნის რამდენადმე სტილიზებული „ანტიკური სული“, რომელსაც ყოველ წუთს გრძნობს მაყურებელი.

სპექტაკლში სულ ექვსი მოქმედი პირია: ფილოსოფოსი ქსანფი, რომელსაც განასახიერებს ნ. კორნი, მისი ცოლი კლეა — ნ. ოლხინა, მხევალი მელი —ვ. ოსოკინა, ათენელი კაპიტანი აგნოტოსი — ე. ივანოვი, ეთიოპიელი — ბ. ვასილიევი და ერთვალი, მაგრამ ბრძენი ეზოპე—ვ. პოლიციემაკო, რომელიც იმდენად შესიხსნლხორცებია ამ უკვდავ იგავთმწერალს, რომ სხვანაირი ეზოპე თითქოს წარმოუდგენელიც კი ხდება, ეზოპეს სწვავს ერთი ცეცხლი, თავისუფლების ცეცხლი, და მზად არის თავისუფლებას შესწიროს ყველაფერი — სიყვარულიცა და სიცოცხლეც. პოლიციემაკოს ეზოპე მთავარ როლს თამაშობს დადგმის ძირითადი იდეის მხატვრულ გახსნაში. იგი ნამდვილად დიდი შინაგანი ძლიერების მქონე მსახიობია, რომელსაც ჰყოფნის ნიჭი და უნარი „იცხოვროს ჩვენს წელთაღრიცხვამდე“. თუმცა მისი ეზოპე სრულიადაც არ არის ძველი კაცი, ამ სიტყვის ვიწრო გაგებით, ის ჩვენი თანამედროვეა, ჩვენი თვალით უყურებს სამყაროს, ამბოხებულია ბედნიერებისა და თავისუფლებისათვის. მისი საქციელი იმდენად წამყვანი და დამაჯერებელია, რომ ყველა სხვა ამბავიც, რაც ფილოსოფოს ქსანფის ოჯახში ხდება, ორგანულად ერწყმის სპექტაკლში ერთმანეთს. ერთი სიტყვით, პოლიციემაკოს ეზოპე, თუ შეიძლება ითქვას, ნამდვილი ბუჯი, რომელზეც დგას მეტად დიდი მხატვრული შენობა.

რეჟისორის ჩანაფიქრს მიჰყვება აგრეთვე ოლხინას კლეაც, რომელიც ეზოპესთან ერთად ერთ ჯანსაღ მდინარეს ქმნის სპექტაკლში. ფილოსოფოსი, ათენელი კაპიტანი, მხევალი და ეთიოპიელი კი რამდენადმე შეზღუდული ჩანან სცენაზე.

ჩემი აზრით, რა ნაკლიც არ უნდა მოეძებნოს ამ სპექტაკლს, მაინც მცირე იქნება იმ მრავალ ღირსებასთან შედარებით, რაც მთლიან, დასრულებულ სახეს აძლევს მას და აღელვებს მაყურებელს.

დარწმუნებულნი ვართ, კვლავ დიდ სიამოვნებას მოგვანიჭებს ლენინგრადელთა სხვა საგასტროლო სპექტაკლებიც.

აკაკი ხორავა,
სსრ კავშირის სახალხო არტისტი.

• • •

„ხუთი საღამო“

გუშინ ლენინგრადის დიდი დრამატული თეატრის კოლექტივმა თბილელ მაყურებელს მორიგ სპექტაკლად უნვენა რუსი საბჭოთა დრამატურგის ა. ვოლოდინის სამმოქმედებიანი პიესა „ხუთი საღამო“. სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის ლენინური და სტალინური პრემიების ლაურეატს სსრ კავშირის სახალხო არტისტს გ. ტოვსტონოგოვს. რეჟისორია რ. სიროტა, მხატვარი ვ. სტეპანოვი, მუსიკალური გაფორმება ეკუთვნის ნ. ლუბარსკის.

როლებს ასრულებდნენ ზ. შარკო (თამარი), კ. ლავროვი (სლავა), რსფსრ დამსახურებული არტისტები ე. კოპელიანი (ილინი) და ლ. მაკაროვა (კატია), ვ. ნიკოლაევა (ზოია) და ვ. კუზნეცოვი (ტიმოფეევი).

რსფსრ დამსახურებული არტისტი ნ. ოლხინა კლეას როლში.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

გამსვლელი სპექტაკლები

მოზარდ მაყურებელთა ქართულმა თეატრმა მიმდინარე წლის სეზონში გადაწყვიტა მოაწყოს გამსვლელი სპექტაკლები ჩვენი რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში. ამას წინათ თეატრმა დუშეთის მაყურებლებს უჩვენა გ. ბერძენიშვილის პიესა „კოკლი მეწისქვილე“, რომელსაც ესწრებოდნენ როგორც რაიონის კოლმეურნე ახალგაზრდობა, ისე მოსწავლეები. იგივე სპექტაკლი უჩვენეს კასპში.

თეატრის შემოქმედებითი კოლექტივი მომსახურებას უწევს თბილისის საწარმო-დაწესებულებებს. თეატრმა უკვე მოიწვია თავის შენობაში თბილისის აბრეშუმსაქსოი ფაბრიკის მუშა ახალგაზრდობა და უჩვენა მას თავისი ახალი დადგმა ო. უალდის — „ვარსკვლავთბეჭუნა“. ამ დღეებში კი თეატრი თვითონ ეწვევა სართავსატრიკოტაჟო კომბინატს და იქ გამართა სპექტაკლი.

თეატრის კოლექტივი 21 ივნისიდან თვის ბოლომდე დღის სპექტაკლებს გამართავს თბილისის საქალაქო პიონერბანაკებისათვის.

ოსური დრამის გასტროლები თბილისში

თბილისში საგასტროლოდ ჩამოსულია სტალინირის კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის ოსური დასი.

თეატრი თბილისელ მაყურებელს უჩვენებს რ. ხუბეცოვისა და გ. ხუგაევის კომედიას „სოფიოს სიმღერას“, ოსური ხალხური ზღაპრების მოტივებზე დ. ტუაევის მიერ შექმნილ პიესას — „ზღაპარს“, მ. შავლოხოვის სამმოქმედებიან კომედიას „სასიძოს“ და ვ. გაგლოევის „ზალინას“.

სპექტაკლებში მონაწილეობას იღებენ საქართველოს სსრ სახალხო არტისტები ზ. გაგლოევა, დ. მამიევი, ნ. ჩაბიევი; საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები ვ. გაგლოევი, ნ. ჩოჩიევა, ს. გაბაევი, ა. გელდიევი, ს. მარგიევი, ბ. მედოევი, დ. პარასტაევი, გ. ტაუგაზოვი, ბ. ცხოვრებოვი და სხვ.

თეატრის მთავარი რეჟისორია საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ლ. შატბერაშვილი; რეჟისორები — საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები გ. კაბისოვი და ს. გაზაევი; მთავარი მხატვარია საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ს. გაგლოევი, მხატვრები — ს. კოჩიევი და დ. მირიანაშვილი.

გუშინ თბილისის რკინიგზელთა სახლში წარმოდგენილ იქნა გ. ხუბეცოვისა და გ. ხუგაევის კომედია „სოფიოს სიმღერა“.

თეატრი 29 ივნისამდე სპექტაკლებს გამართავს თბილისის რკინიგზელთა სახლში, ხოლო 29 ივნისიდან — პლეხანოვის სახელობის კლუბის სცენაზე.

სპორტის ამბები

დღეს „დინამოს“ სტადიონზე

მოსკოვში, ლენინგრადსა და კიევში საერთაშორისო მატჩებში მონაწილეობის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები გუნდი თავისუფალ ჟიდობაში ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქს ეწვია. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელებმა სამივე შეხვედრა წააგეს, მათი დღევანდელი გამოსვლა საქართველოს ნაკრები გუნდის წინააღმდეგ დიდ ინტერესს იწვევს.

მოწინააღმდეგეთა წყვილები ასეთი იქნება: უმჩატეს წონაში — დიკ ვილსონი-მ. ცალქალამანიძე, მჩატე წონაში — ტერი მაკენი-ზ. მჭედლიშვილი ან ვ. არსენიანი, ქვემსუბუქ წონაში — ჯერი ჰოუკი-ვ. რუბაშვილი, მსუბუქ წონაში — ნიუტლ კოპლი-გ. სალარაძე ან ა. გვიმრაძე, ქვესაშუალო წონაში — ფრიც ფივიანი-ვ. ბალავაძე, საშუალო წონაში — ჯეიმს ფერგიუსონი-მ. სხირტლაძე, ქვემძიმე წონაში — ფრენკ როზენმეიერი-ნ. გობეჯიშვილი, მძიმე წონაში — რობერტ მარელა-ო. კანდელაკი.

„რეიმსის“ მეოთხე დამარცხება

მოსკოვი. 26 ივნისი. დღეს აქ ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა მორიგი საერთაშორისო შეხვედრა ფეხბურთში. თამაშობდნენ საფრანგეთის „რეიმსისა“ და საბჭოთა კავშირის საკლუბო ნაკრები გუნდები. შეხვედრა დამთავრდა საბჭოთა ფეხბურთელების გამარჯვებით ანგარიშით 4:1.

„ბურევესტნიკის“ ჩემპიონი

თბილისის კორტებზე დამთავრდა მოზარდ ჩოგბურთელთა გუნდური ასპარეზობა სასპორტო საზოგადოება „ბურევესტნიკის“. ცენტრალური საბჭოს პირველობაზე.

ეს შეხვედრები თბილისელებმა მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარეს, დაამარცხეს კიევის გუნდი ანგარიშით 8:3, მოსკოვის ჩოგბურთელები — 11:0 და პირველი ადგილი დაიკავეს.

სამტრედიის „ლოკომოტივის“ წარმატება

საქართველოს მეორე სპარტაკიადის დამთავრების შემდეგ განახლდა ბრძოლა ფეხბურთში ჩვენი რესპუბლიკის პირველობაზე. მორიგი მატჩების შედეგები. ასეთია:

„განთიადი“ (ფოთი) — „დინამო“ (სოხუმი) 2:3, „შახტიორი“ (ტყიბული) — ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი (თბილისი) 1:2, საქალაქო ტრანსპორტის სამმართველოს გუნდი (თბილისი) — „სპარტაკი“ (ცხაკაია) 7:0, „კოლმეურნე“ (ქობულეთი) — „სხვი“ (რუსთავი) 3:1, „სპარტაკი“ (სტალინირი) — „იმერეთი“ (ქუთაისი) 2:1, „დინამო“ (ბათუმი) — „კოლმეურნე“ (ბახარაძე) 1:1. ქუთაისის „დინამოს“ ლანჩხუთის „კოლმეურნესთან“ შეჯიბრებაზე გამოუცხადებლობის გამო დამარცხება ჩაეთვალა.

ლიდერს — სამტრედიის „ლოკომოტივს“ 7 თამაშში 12 ქულა აქვს.

ამერიკელი გუბერნატორები მოსკოვში

ამერიკის შეერთებული შტატების გუბერნატორთა ჯგუფი, რომელიც მოსკოვს ჩამოვიდა, 25 ივნისს მიიღო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ გ. ა. ყუკოვმა.

შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატებიდან ჩამოსულმა სტუმრებმა ინახულეს მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი და საუბარი ჰქონდათ აღმასკომის თავმჯდომარესთან ვ. ი. კონოტოპთან და მუდმივი კომისიების წევრებთან.

იმავე დღეს ამერიკელი გუბერნატორები იყვნენ რუსეთის სსფსრ განათლების სამინისტროში და ესაუბრნენ მინისტრ ე. ი. აფანასენკოს.

საღამოს სტუმრები დაესწრნენ ბალეტ „ბახჩისარაის შადრევანს“ სსრ კავშირის დიდ თეატრში. (საკადესი).



საერთაშორისო ოსტატის ვ. გოგლიძის რედაქციით.

ს. გლიგორიჩი



ვ. კერესი

თეორები: 1ფg1, 1ლd2, 1ja1 2e1, 2a3, 2c2, 3f3, 3g3, 3ჰ: a4, c3, d4, e4, f2, g2, h3 (სულ 15).

შავები: 1ფg8, 1ლc7, 1a8, 1e8, 2b7, 2f8, 3d7, 3f6, 3ჰ: a6, c4, d6, e5, f7, g6, h7 (სულ 15)

• • •

მოგვყავს ციურიხის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში გროსმაისტერ პ. კერესისა (სსრ კავშირი) და ს. გლიგორიჩის (იუგოსლავია) მიერ ნათამაშევი პარტიის დასასრული.

აღნიშნული პოზიცია შეიქმნა თეორების 21-ე სვლის შემდეგ. მოწინააღმდეგეებმა გაითამაშეს ესპანური პარტია. თეორებმა დებიუტით უკეთესი თამაში მიიღეს და აქვთ პოზიციური უპირატესობა. მათი ძირითადი მიზანია შექმნან აქტიური თამაში მეფის ფლანგზე. ადვილი შესამჩნევია, რომ შავი ფიგურები შებოჭილი არიან და თავისუფლად ვერ მოქმედებენ. გლიგორიჩი იწყებს ფიგურების გადაადგილებას, რომ მდგომარეობა შეიმსუბუქოს, მაგრამ კერესი ოსტატური თამაშით ხელს უშლის ამ მიზნის განხორციელებას. 21... 2ad8 22. 2ab1 c6 23. 1e3 1g7 24. d:e5 d:e5 25. 2ed1 (კერესმა კარგად განალაგა ფიგურები შეტევისათვის და იძუქრება სვლით 26. 1d6). 25... 1f8 26. 1:f8 2:f8 (თეორებმა გაცვალეს შავ არიზე მოქმედი ინიშნელოვანი კუ, რომელიც მეფის ფლანგს იცავდა. მისი გაცვლით მეფის პოზიციაზე სუსტდება შავი უჯრედები). 27. 1g5! (ძუქარით 28. 3f5) 27... 3e8 28. 1e7 (თეორი ლაბიერი მოწინააღმდეგის ბანაკში შეიჭრა. გლიგორიჩი ყველაფერს აკეთებს, რომ შექმნას მტკიცე თავდაცვითი პოზიცია, მაგრამ ამაა ვეო ახერხებს). 28... 3g7 29. 3f1 3e6 30. 3e3 3f4 31. 3g1! f6 32. 3g4 (ძუქარით 33. 3h6+, შემდგ 34. 3:f7 ბარიესის ძოგებით) 32... 3d3 33. 3:d3! (ლაძახი კომბინაციაა, რომელიც პარტიის ბედს სწყვეტს). 33... c:d3 34. 2b3+ 3g8 35. 3:f6! (თეორე შეწირვაა, რაც ანგრევს ძოწინააღმდეგის მეფის პოზიციას) 35... 2:f6 36. 1g5 („h7“-ზე შაძათის თუქარით, მაგრამ მდგომაოობა გამოუვალია). 36... 2:f2+ 37. 3g1 2f1+ 38. 3g3h2 შავები დანებდნენ.

პ. კერესმა შესანიშნავად გამოიყენა პოზიციური უპირატესობა და ლამაზად წარმართა შეტევა.

ტურისტები ქუთაისში

ქუთაისი. (საკ. კორ.). აქ გაიხსნა ტურისტული სეზონი. ქუთაისის ტურისტულ ბაზაში ჩამოვიდნენ პირველი ტურისტები ჩვენი ქვეყნის კუთხეებიდან. ისინი ინტერესით ათვალიერებენ ქალაქის ღირსშესანიშნავ ადგილებს, აგრეთვე სათაფლიის ნაკრძალსა და გამოქვაბულს, გელათის ტაძარს, კურორტ წყალტუბოს, მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმს.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

ყოველი მხრიდან

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის XV ყრილობა

პარიზი, 25 ივნისი. (საკდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, 24 ივნისს პარიზის მუშათა გარეუბან სენის ივრში გაიხსნა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის XV ყრილობა. ყრილობის დღის წესრიგშია ორი საკითხი: 1. მუშებისა და რესპუბლიკური ძალების გაერთიანება დემოკრატიის აღდგენისა და განახლებისათვის ბრძოლაში. 2. პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები.

ცენტრალური კომიტეტის თეზისების პროექტი განხილულ იქნა ყრილობის წინ პარტიის პირველადს ორგანიზაციებში ფართო და ნაყოფიერი დისკუსიის დროს პრესის ფურცლებზე, სახალხო კრებებზე.

ყრილობამ აირჩია პრეზიდიუმი, რომელშიც შევიდნენ საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მორის ტორეზი, პოლიტბიუროს წევრები, ცენტრალური კომიტეტის მდივნები და წევრები და პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელი ძოღვაწეები.

ყრილობას ესწრებიან მთელი რიგი ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების დელეგაციები. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია წარმოდგენილია დელეგაციით, რომელიც შედგინ მ. ა. სუსლოვი, ნ. ვ. პოდგორნი და ბ. ნ. პონომარიოვი.

ყრილობა გახსნა სენატორმა და სენის ივრის მერმა ჟორჟ ძარანმა, რომელმაც მისალმებით მიმართა XV ყრილობის დელეგატებს, მოამე პარტიების ყველა დელეგაციას, და განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციას.

შემდეგ სიტყვა მოხსენებისათვის დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიეცა საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს მორის ტორეზს.

პერიოდს, რომელიც გავიდა ჩვენი პარტიის XIV ყრილობის შემდეგ, — თქვა ტორეზმა, — ახასიათებს, უმთავრესად, დემოკრატიული ინსტიტუტების დანგრევა და პირადი ხელისუფლების რეჟიმის დამყარება მეამბოხეთა შეთქმულების შედეგად. ეს რეჟიმი ეყრდნობა მსხვილი ბურჟუაზიის ყველაზე ჩამორჩენილ, ყველაზე მილიტარისტულ და ყველაზე კოლონიალისტურ ელემენტებს. იგი გზას უკაფავს ფაშიზმს. მეტად საშიში იქნებოდა ჯერეოვნად არ შეგვეფასებია მომხდარი ცვლილების დიდი ინიშნელობა და სიღრმე, იმ დარტყმის სერიოზულობა, რომელიც მუშებსა და დემოკრატიულ ძალებს მიაყენეს, სასტიკი და ხანგრძლივი ბრძოლა, რომელიც საჭირო იქნება იმისათვის, რომ გავაერთიანოთ ეს ძალები, გამოვიყვანოთ ისინი საბრძოლველად და გამარჯვება მოვიპოვოთ ავტორიტარულ რეჟიმზე, რომლის ხელშია ყოველისმომცველი ძალაუფლება.

საფრანგეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საფრანგეთის კომუნისტური პარტია 1958 წლის კრიზისული ამბების დროს იყო რეაქციისადმი წინააღმდეგობის მთავარი ძალა და გაამართლა მშრომელთა და ხალხის ნდობა მისდამი.

მორის ტორეზმა აღნიშნა, რომ პირადი ხელისუფლების რეჟიმს მოჰყვა ეკონომიური რეგრესი, დაჩქარებული კაპიტალისტური კონცენტრაცია, მშრომელთა ექსპლოატაციის გაძლიერება და მათი მატერიალური მდგომარეობის გაუარესება.

ტორეზმა გააკრიტიკა მთავრობის ანტიმუშური სოციალური პოლიტიკა და ამხილა სხვადასხვა თეორია, რომელთა მიზანია მშრომელი მასების მოტყუება, მაგალითად, „სახალხო კაპიტალიზმის“ ცრუ თეორია.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო თანამედროვე საფრანგეთის ყველაზე რთულ და მწვავე პრობლემას — ალჟირის ომს, რომელსაც მან უწოდა „იარა საფრანგეთის სხეულზე“. ტორეზმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საფრანგეთი დაინტერესებულია დაუყოვნებლივ შეწყდეს ეს უსაშველო ომი, რომ გოლისტური რეჟიმის საგარეო პოლიტიკა პირდაპირ ეწინააღმდეგება ფრანგი ხალხის მისწრაფებებს.

თავისი მოხსენების მნიშვნელოვანი ნაწილი ტორეზმა მიუძღვნა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის წარმატებებს საბჭოთა კავშირში და მისი სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიან გეგმას, აგრეთვე სხვა სოციალისტური ქვეყნების წარმატებებს.

შემდეგ მორის ტორეზმა ჩამოაყალიბა კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტი, რომელიც წარდგენილია ყრილობის განსახილველად და რომლის მიზანია საფრანგეთის რესპუბლიკური ინსტიტუტებისა და ეროვნული ცხოვრების განახლება.

თავისი მოხსენების დასასრულს ტორეზი შეეხო შინაპარტიულ და ორგანიზაციულ საკითხებს, ხაზი გაუსვა რა კომუნისტური პარტიის მჭიდრო დარაზმულობას, მისი საერთაშორისო ურთიერთობის გაფართოებასა და განმტკიცებას.

კომუნისტურმა პარტიამ იცის, თქვა ტორეზმა, რომ მის წინაშე დასახულია არც თუ ადვილი ამოცანები, რომლებიც დიდ სიმტკიცესა და მოთმინებას მოითხოვენ. საფრანგეთი კვლავ წავა თავისი ნამდვილი სიდიადისაკენ, რომელიც წარმოუდგენელია უდემოკრატიოდ, უმშვიდობოდ, უიმისოდ, რომ ყველაზე მოწინავე კლასს არ მიეცეს სამართლიანი ადგილი პოლიტიკურ ცხოვრებაში.

მ. ტორეზის მოხსენების შემდეგ დაიწყო კამათი.

ჰარიმანი ქებას ასხამს ბრატსკის ჰესის მშენებლებს

ნიუ-იორკი, 25 ივნისი (საკდესი). გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ გამოაქვეყნა ნორტ ამერიკენ ნიუსპეიპერ ალიანსის საგაზეთოს მიერ გავრცელებული სტატია ცნობილი ამერიკელი პოლიტიკური მოღვაწის ავერელ ჰარიმანისა ბრატსკის ჰესის მშენებლობაზე მისი ყოფნის შესახებ.

„ანგარის გადახიდვა, — წერს, კერძოდ, იგი, — დიდი მოვლენა იყო ბრატსკში. თავდაპირველად 1 ივლისისათვის დანიშნული, იგი განხორციელდა ვადაზე 10 დღით ადრე. ათასობით მუშა შეიკრიბა კაშხალის ცენტრის გარშემო, სადაც გადახიდეს უკანასკნელი განაკადი, რათა აღენიშნათ ეს მოვლენა...

მდინარის გადახიდვა იყო არა მარტო ადგილობრივი მნიშვნელობის მოვლენა. რეაქციულ თვითმფრინავში, რომელმაც მოსკოვიდან ჩამიყვანა ირკუტსკში, ე. ი. 3.000 მილ მანძილზე, აგრეთვე მეორე საბჭოთა თვითმფრინავში, რომლითაც მივფრინდი ციმბირის უდაბნო რაიონებში, იყვნენ ცნობილი საბჭოთა მწერლები, მხატვრები და ჟურნალისტები, რომლებიც იქ წავიდნენ, რათა აეწერათ დიდი მოვლენა, რომელიც უდავოდ საბჭოთა ინჟინრების დიდმდე უდიდესი საგმირო საქმის შედეგია.“

თათბირი ჟენევაში

ჟენევა, 25 ივნისი (საკდესი). დღეს სსრ კავშირის წარმომადგენლის ს. კ. ცარაპკინის თავმჯდომარეობით გაიმართა მორიგი სხდომა სამი სახელმწიფოს თათბირისა ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ. თათბირის განსახილველად დასმული იყო საკონტროლო საგუშაგოების პერსონალის საკითხი.

შემდეგი სხდომა დანიშნულია 26 ივნისს.

ფუჭი ცდა

ნიუ-იორკი, 26 ივნისი (საკდესი). შეერთებულმა შტატებმა სცადეს სამხედრო-საჰაერო ძალების ვანდენბერგის ბაზიდან (კალიფორნიის შტატი) გაშვება ხელოვნური თანამგზავრისა „დისკავერერ-IV“.

გაშვებიდან ორი საათის შემდეგ სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლობამ გამოაცხადა, რომ ხელოვნური თანამგზავრი ორბიტაზე ვერ გავიდა.

რადიო

27 ივნისი

პირველი პროგრამით

11.00 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 11.30 — ნაწყვეტები ვერდის ოპერებიდან, 12.15 — ტ. მახარაძის კონცერტი, 12.45 — საბჭოთა კომპოზიტორების რომანსები თ. ბახტაძის შესრულებით, 17.20— გადაცემა მოსწავლეთათვის. რადიოდადგმა— „ზღაპარი სამღერო ფუნჯზე“, 18.05— ქართული ხალხური სიმღერები, 18.45 საფორტეპიანო ნაწარმოებები ს. რახმანინოვის შესრულებით, 19.15— მსოფლიოს ხალხთა სიმღერები, 20.20 — ფეხბურთის მატჩის რეპორტაჟი მოსკოვიდან, 20.45 — გადაცემა მრეწველობის თემაზე. საუბარი: „პოლიმერების საუკუნე“, 21.00 — გადაცემა: „ახალ გამარჯვებათა შეიდწლედი“ (სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე), 21.25 — თ. ზაალიშვილის კონცერტი, 21.40 — ლიტერატურული გადაცემა, 22.20 —ქართული პოპულარული მუსიკის კონცერტი.

მეორე პროგრამით

21.00 — კამერული მუსიკის კონცერტი, 21.30 — ლიტერატურული გადაცემა რუსულ ენაზე. თენგიზ გოგოლაძის მოთხრობა „თამილა“. 22.00— საესტრადო კონცერტი.

ტელევიზია

27 ივნისი

19.30 — სატელევიზიო ჟურნალი „მერცხალი“ № 10, 20.10 — კინონარკვევი. 20.45 — „ჩვენი რეიდი“ (თბილისის ტელევიზიის სტუდიის გამოშვება), 21.00 — ახალი ქართული მხატვრული ფილმი „წარსული ზაფხული“.

თბილისი ეთერში და ეკრანებზ